# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 მაისიდან!
„ახალი თაობა“ +
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის
პირველი
ტომი




4 — 5 მაისი, 2013 №105 (6106) ფასი: 30 თეთრი



## დავით უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა დაიწყო

გვ.3



## პრეზიდენტი ვეტოს დადებას კიდევ ერთ კანონს უპირებს

გვ.3





## ვანო მერაბიშვილს შესაძლოა სასამართლოში უჩივლონ

გვ.5



## რატომ იყვნენ აქციაზე პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმელში?!

გვ.4

## რა პრობლემებს შექმნის „შრომის ახალი კოდექსი“

გვ.6




## ნაციონალური თვითლუსტრაცია

გვ.2



## „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა არც რელიგიის და არც რწმენის საკითხი არ არის“

გვ.4

29 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი
ტომი 1 8 ლარი
თეკლა ბატონიშვილი



# ნაციონალური თვითლუსტრაცია

**2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, ნაციონალური მოძრაობა თვითლუსტრაციის იძულებით კურსს კვლავ წარმატებით აგრძელებს და, სავარაუდოდ, ეს შეუქცევადი პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ ეს პარტია იარსებებს.**

ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" თვითლუსტრაციას 2012 წლის 1 ოქტომბრამდეც არ გაურბოდა ფაქტია, თუმცა ამ ლუსტრაციის შედეგები, საზოგადოების ფართო ფენებისთვის, მონოპოლიზირებული მედიის პირობებში, უცნობი რჩებოდა. დღეს კი, მედიის თავისუფლების ხარისხის ამაღლების პარალელურად, ნაციონალთა თვითლუსტრაციის მაგალითები და ფაქტები გაცილებით უფრო ხელმისაწვდომია და გაცილებით უფრო მეტ ადამიანს აქვს საშუალება ამასთან დაკავშირებით ანალიზი გააკეთოს.

გასულ კვირაში, ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა იყო.

მიუხედავად წინა ხელისუფლების მხარდამჭერთა განცხადებებისა, რომ პრემიერი ასამბლეაზე სუსტად გამოვიდა და ამით ევროპა გააოცა, - შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ბოლო პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი გარღვევა საერთაშორისო საზოგადოების ობიექტურად ინფორმირებულობის თვალსაზრისით, რამაც რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი წყობილებიდან გამოიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრს ასეთი აუდიტორიის წინაშე გამოსვლის და მათ კითხვებზე პასუხის გაცემის ალბათ ძალიან მწირი გამოცდილება გააჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარსდგა, როგორც სრულად ჩამოყალიბებული და მაქსიმალურად მომზადებული პოლიტიკოსი.

მის პასუხებში გარდა ქვეყნის რეალობის და წინა ხელისუფლების ქმედებების აღწერისა, კარგად დაკვირვებული თვალი, დასავლეთის მიმართ იმ საყვედურსაც ამოიკითხავდა, რომელსაც პრემიერი მათ, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ქმედებების გამართლების გამო აძლევდა.

ხოლო რაც შეეხება პოლონეთის წარმომადგენლის მიერ ბიძინა ივანიშვილისადმი დასმულ შეკითხვას პუტინის სიყვარულის შესახებ, შეიძლება ითქვას რომ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ისტორიაში, ის შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე არაკომპეტენტურ და უტაქტო შეკითხვად მივიჩნიოთ. პოლონელმა დეპუტატმა, თავისდაუნებურად ხელი შეუწყო ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის იმიჯის განმტკიცებას, რადგან მის მიერ დასმულ შეკითვას, პრემიერმა საკმაოდ გააზრებული, დახვეწილი და დიპლომატიური პასუხი გასცა.

როგორც მოგვიანებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაჟღერდა, როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული შეკითხვა პოლონელ დეპუტატს „ნაციონალური მოძრაობის" წევრებთან, მათ შორის ჩიორა თაქთაქიშვილთან შეთანხმებით დაუსვამს.

გასაგებია, რომ, როდესაც ცდილობენ საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ დეზინფორმირებას, სავსებით შესაძლებელია ამან გარკვეულწილად თავი იჩინოს ამა თუ იმ პოლიტიკოსის დამოკიდებულებაში, მაგრამ შეკითხვის ის შინაარსი და ფორმა, რა ფორმითაც პოლონელმა პოლიტიკოსმა ის დასვა, დიპლომატიის და კვალიფიკაციის ჩარჩოებს აშკარად სცილდება.

ასეა თუ ისე, პრემიერმა გასულ კვირაში პირადად, ნამდვილად შეძლო და საერთაშორისო საზოგადოებამდე სიმართლე მიიტანა, რასაც აქამდე მასობრივი ტერორის ქვეშ მყოფი პოლიტიკური ძალები, მათი დიდი მცდელობის მიუხედავად, გასაგები მიზეზების გამო, ეფექტიანად ვერ ახერხებდნენ.

საზოგადოების განწყობის ლუსტრაციის თვალსაჩინო მაგალითად კი, ბოლო პერიოდის განმავლობაში, მეტნაკლებად თანაბარ საწყისებზე ჩატარებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების შედეგები შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," კოალიცია „ქართულმა ოცნებამ," სამივე რაიონში საგრძნობი უპირატესობით დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკური რეინკარნაცია მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია.

რაც შეეხება გარკვეული პიროვნებების თუ პოლიტიკოსების მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ კოალიციას, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას ისედაც ფლობდა, არჩევნებში მონაწილეობა აღარ უნდა მიეღო და ადგილები სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის დაეთმო, - ძირშივე არასწორია.

პირველი და უმთავრესი ფაქტორი, რაც ამ მოსაზრების სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს, არის კითხვა, თუ რატომ უნდა დაეთმო პოლიტიკური ბრძოლა ძალას, რომელსაც აბსოლუტური შესაძლებლობა ჰქონდა ეს ბრძოლა მოეგო.

ამ შემთხვევაში პარალელის გავლება ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის, არანაირად არ შეიძლება, ვინაიდან წინა ხელისუფლება არჩევნებს ტერორის, მოსყიდვისა და გაყალბების გზით იგებდა, გასულ კვირაში ჩატარებული არჩევნები კი, მაქსიმალურად პარიტეტულ საწყისებზე ჩატარდა, თუმცა ცალკე თემაა ის საარჩევნო კანონმდებლობა, რომლის შესაცვლელადაც, ახალ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური სუბიექტები, ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროს, მასთან „კონსტრუქციულად ოპონირებდნენ."

საერთოდ კი, პოლიტიკა არ არის ქველმოქმედება და არც ის იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ „ქართულ ოცნებას" ვინმესთვის სადეპუტატო მანდატი დაეთმო.

ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა ისწავლოს, რომ ხელისუფლებას არჩევნების პარიტეტულ საწყისებზე და დემოკრატიულად ჩატარება მოსთხოვოს, ხოლო ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ ის, რომ ამა თუ იმ არჩევით ორგანოში არა ვინმეს მოწყალების გამო, არამედ საკუთარი პროგრამის, ინტელექტის, შესაძლებლობის გამო, - მაქსიმალური კონკურენციის პირობებში უნდა მოხვდნენ.

მესამე ფაქტორი, რის გამოც „ქართული ოცნების" მხრიდან ამ არჩევნების დათმობა არასწორი იქნებოდა, ისაა, რომ სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლა ამ ეტაპზე, ქვეყნის რეალურ ცხოვრებაში ვერაფერს ვერ შეცვლიდა და პოლიტიკური სურათი ძირითადად იგივე დარჩებოდა. მაქსიმუმ, ის რამდენიმე პოლიტიკური შოუთი გამდიდრდებოდა. ამასთან, ადვილი შესაძლებელია, რომ პარლამენტში შესულ ზოგიერთ დეპუტატს თავისი ხმა, არცთუ უანგაროდ, სავაჭროდ გამოეყენებინა, რაზეც რა თქმა უნდა „ქართული ოცნება" არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა.

იმ შემთხვევაშიც, კი თუ კოალიცია საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდა, საარჩევნო ოლქებში, დიდი ალბათობით, კვლავ „ნაციონალები" გაიმარჯვებდნენ, რაც „ქართული ოცნებისთვის" ასევე მიუღებელი იქნებოდა.

ასე, რომ ვერსიას და ვარაუდებს იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებას" არჩევნები უნდა დაეთმო, მხოლოდ პოპულისტური ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ.

გარდა ამისა, საინტერესოა იმ პოლიტიკურ სუბიექტთა მოსაზრებები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ. მათ არანაკლებ კარგად იცოდნენ, რომ 100 პროცენტით გამარჯვების შემთხვევაშიც კი, პარლამენტში ვერაფერს შეცვლიდნენ. გაცილებით უფრო მომგებიანი და პრაგმატული იქნებოდა მათი მხრიდან, რომ არჩევნებში, რომლის მოგების შემთხვევაშიც კი ისინი ხელფასის და პრემიის გარდა, სხვა დივიდენდს ვერ მიიღებდნენ, - მონაწილეობა საერთოდ არ მიეღოთ.

ცალკე საკითხია გამარჯვების აღნიშვნის ფორმა იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან, რომელიც გამარჯვებაც ეჭვს იმთავითვე არ იწვევდა. ზოგადად კი, ნორმალური პოლიტიკური კულტურის ქვეყანაში, სასურველია, რომ სადეპუტატო მანდატისთვის ბრძოლაში გამარჯვების და „ფორმულა 1"-ში გამარჯვების აღნიშვნის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს.

არსებული პოლიტიკური რეალობის ლუსტრირების კიდევ ერთი მცდელობა იყო გასულ კვირაში, ნდი-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც შესაძლოა ქართველი ხალხის განწყობას ობიექტურად კვლავ ვერ ასახავდა, მაგრამ იმ წინა შედეგებთან შედარებით, რომლის თანახმადაც „ნაციონალური მოძრაობის" შემდეგ, საზოგადოებას „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე" ეკეტებოდა ჭკუა, - აშკარად ობიექტურად გამოიყურებოდა.

საინტერესო იყო თავად პრემიერის კომენტარიც ამ თემასთან დაკავშირებით, როდესაც მან აქცენტი კითხვის დასმის მნიშვნელობაზე გააკეთა. ასევე საინტერესოა მისი პროგნოზი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც, როცა განაცხადა, რომ ამ არჩენვებში „ნაციონალების" კანდიდატი 10 პროცენტსაც ვერ აიღებსო.

რაც შეეხება გასული კვირის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას, ეს, პარტია „დემოკრატიული მოძრაობის" გენერალური მდივნის, ვახტან ყოლბაიას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩევა იყო.

თავად ის ფაქტი, რომ იმ პარტიის გენერალურ მდივანს, რომლის ლიდერიც ნინო ბურჯანაძეა, ასეთ თანამდებობაზე ირჩევენ, საკმაოდ მნიშვნელოვანია და მიხეილ სააკაშვილის იმ ყველაზე კოშმარული სიზმრის ასრულებას ჰგავს, რომელიც ნინო ბურჯანაძის და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლას გულისხმნობს.

სავარაუდოდ სწორედ ამ შიშებითაა გამოწვეული მიხეილ სააკაშვილის ქმედება, როდესაც მან ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურის დანიშვნის ბრძანების ხელის მოწერაზე უარი განაცხადა და ყოლბაია და მისი პოლიტიკური ძალა კოლაბორაციონიზმში დაადანაშაულა.

თავად ყოლბაიას განცხადებითვე, ეს, სააკაშვილის მხრიდან უმძიმესი ბრალდებაა და თუ პრეზიდენტი ამის დოკუმენტურად და არგუმენტირებულად დასაბუთებას ვერ შეძლებს, მას აუცილებლად მოუწევს სასამართლოს წინაშე პასუხისგება.

ასე, რომ როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ," ასევე მათმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა თვითლუსტრირება უკვე მოახდინეს, ახლა კი ჯერი საზოგადოებაზეა, რომელიც ლუსტრაციის შედეგებიდან გამომდინარე, თავისი პოზიციით, ყოფილი ხელისუფლების პასუხისმგებლობის დასმის საკითხის სიმკაცრეს განაპირობებს. იმ შემთხვევაში კი, თუ საზოგადოება საკუთარი ღირსების აღდგენას სათანადო პრინციპულობით არ მოითხოვს, სავარაუდოდ, ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი, დაკითხვაზე გამოძახება-გირაოს გადახდის სახით, კვლავ დიდხანს გაგრძელდება.

გასულ კვირაში, კიდევ ერთი საინტერესო თემა წამოიჭრა, რომლის ავტორიც კვლავ პრემიერი ივანიშვილია და რომელმაც ბევრ ექსპერტს თუ პოლიტიკოსს თავსატეხი გაუჩინა.

ეს ივანიშვილის მიერ მინისტრთა კაბინეტში არსებულ ერთ-ერთ მინისტრს ეხება, რომელიც სავარაუდოდ ახლო მომავალში პორტფელს დატოვებს და რომლის მინიშნებით დასახელებისგანაც კი, პრემიერმა თავი შეიკავა.

ძნელია პროგნოზის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნება ახალი ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის პირველი ექსმინისტრი, მაგრამ სავარაუდოდ ის არც ძალოვანი და არც ეკონომიკური გუნდიდან არ იქნება, ვინაიდან სწორედ ეს ორი მიმართულებაა, რომელიც დღეს მაქსიმალურად კვალიფიციურად და პროფესიონალურად მუშაობს.

არც პრემიერ-მინისტრს და არც საზოგადოებას, ჯერჯერობით არც პოლიციის მიმართ და არც საგადასახადო ან საბაჟო უწყებების მიმართ პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ისინი მაქსიმალურად პროფესიონალურად და რაც მთავარია პოლიტიკისგან დისტანცირებულად იცავენ წესრიგს და ადამიანის უფლებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ასევე კანონიერების დაცვით და არავითარ შემთხვევაში „შეწერილი" უკანონო ჯარიმების ხარჯზე, - ბიუჯეტს ავსებენ.




რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, პრემიერის უკმაყოფილება სავარაუდოდ არც ამ სფეროს პირველი პირის მუშაობით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან, მიუხედავად შემჭიდროებული ვადებისა, აღნიშნულმა სამინისტრომ შეძლო ის, რომ დღეს საქართველოში მართლაც უპრეცედენტო რაოდენობის მიწები დაიხნა, რაც საავტომობილო მაგისტრალებზე მოძრავი ნებისმიერი მგზავრისთვისაც კი თვალშისაცემია.

ერთადერთი უწყება, ვისი პირველი პირის მუშაობაც საზოგადოებას ყველაზე ნაკლებად ხვდება თვალში და ვისი მოხსენიების სიხშირეც პრესაში ალბათ ყველაზე დაბალია, - ეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძეა, რომლის აქტივობაც ძირითადად ამა თუ იმ კონფერენციებში მონაწილეობით და გამწვანების აქციების ორგანიზებით გამოიხატება და პრინციპული პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მის უწყებას არასდროს დაუფიქსირებია, თუ არ ჩავთვლით ბზის მოჭრასთან და „ჭიაკოკოკონობისას" საბურავების დაწვასთან დაკავშირებით სანქციების გამკაცრებას.

რაც შეეხება ისეთ პრინციპულ საკითხებს, როგორიცაა ჰესების მშენებლობა ყაზბეგის რაიონში, ასევე ხუდონჰესის მშენებლობა და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემებზე გარემოს დაცვის სამინისტროში ექსპერტთა შეკრებები ხშირად იმართება, საზოგადოებას დღემდე არ აქვს ინფორმაცია იმ რისკ-ფაქტორების შესახებ, რომელიც ხუდონჰესის, ან თუნდაც ხდის ჰესის აშენებას მოჰყვება. მითუმეტეს, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტები თავიანთ უარყოფით მოსაზრებებს, უკვე კარგა ხანია აფიქსირებენ.

თუმცა ეს ყველაფერი ვარაუდის დონეზეა, ხოლო ვისი მუშაობით არის კონკრეტულად უკმაყოფილო პრემიერ-მინისტრი და ვის მიმართ აქვს კითხვები, ეს წესით უახლოეს მომავალში უნდა გამოჩნდეს, თუმცა არ გამოირიცხება, რომ ეს განცხადება პრემიერის მხრიდან ერთგვარი ტაქტიკური სვლაც იყოს, რათა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა მუდმივ ეფექტზე გათვლილ მუშაობის რეჟიმში ჩააყენოს.

ასეა თუ ისე, თავად ის ფაქტი, რომ „ნაციონალური მოძრაობის" აპოლოგეტი მედიასაშუალებებიც კი, იძულებულნი არიან ახალი ხელისუფლების მუშაობის ავკარგი გააშუქონ და მათ შედეგებზე ისაუბრონ, ნიშნავს იმას, რომ ყოფილი ხელისუფლება აქტუალობას სულ უფრო და უფრო კარგავს, რაც მათ მიერ დაწყებული თვითლუსტრაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, კიდევ უფრო გაძლიერდება.

ამ შემთხვევაში კი, თვითლუსტრაციის შეუქცევადი პროცესების შედეგების რეაგირებაზე, გადამწყვეტი სიტყვა ისევ და ისევ საზოგადოებას ეკუთვნის.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

## სააკაშვილმა აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს დაჯილდოების ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

როგორც პრეზიდენტის ფაცებოოკ-ის ოფიციალურ გვერდზეა ნათქვამი, ქვეყნის პირველი პირი ღონისძიების შემდეგ გამართულ გალა ვახშამს დაესწრო, რომელზეც ჰილარი კლინტონი, ანდერს ფოგ რასმუსენი, სენატორები და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები იყვნენ მიწვეული.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პრეზიდენტი ვეტოს დადებას კიდევ ერთ კანონს უპირებს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტს, ეტყობა, მოეწონა კანონებისთვის ვეტოს დადება. ვეტოს უფლება მან ორჯერ გამოიყენა. მართალია, ორჯერვე დაუძლიეს ვეტო, მაგრამ პრეზიდენტი მაინც ვერ მოდრიკეს. საპარლამენტო უმცირესობის წევრები დარწმუნებული არიან, რომ მიხეილ სააკაშვილი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტს ვეტოს დაადებს. ამის შესახებ განცხადება დეპუტატმა შოთა მალაშხიამ გააკეთა.

დეპუტატისთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა მიიღოს თავმოყვარე ქვეყნის პარლამენტმა ასეთი კანონპროექტი. იგივე განწყობები აქვთ სხვა ნაციონალებსაც, რომლებიც ამ კანონპროექტის გამო უკვე დიდი ხანია ღელავენ.

კანონპროექტის განხილვა ადრე უნდა დაწყებულიყო. ნაციონალების ნერვიულობის გამო საკითხის განხილვას მხოლოდ 2 მაისს შეუდგნენ, თუმცა ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. კანონის განხილვამ 15 მაისისთვის გადაიწია. საეჭვოა, იმ დროისთვის ნაციონალები დაწყნარდნენ. განხილვა ისევ ხმაურის ფონზე ჩაივლის. 2 მაისს კანონში ცვლილებების შეტანას დიდი ხმაური და აურზაური მოჰყვა.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვის დასრულება და მისი კენჭისყრაზე გატანა პარლამენტმა 2 მაისს სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოასწრო.

პროექტზე მსჯელობის გაგრძელება, სავარაუდოდ, 15 მაისის პლენარული სხდომისთვის დაიგეგმა, თუმცა ამაზე გადაწყვეტილებას პარლამენტის ბიურო მიიღებს.

კანონპროექტის განხილვა 2 მაისის სესიაზე 14:00 საათიდან მიმდინარეობდა. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას საპარლამენტო ოპოზიცია წინააღმდეგობას, პოლიტიკური არგუმენტების გარდა, პროცედურული ფორმებითაც უწევს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საკითხი გუშინწინ კენჭისყრამდე ვერ მივიდა.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ლიბერალიზებას გულისხმობს. ცვლილებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონით დადგენილ წესს დაარღვევს, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად 400 ლარით დაჯარიმდება. შესაბამისად, პირის მიერ პირველ ჯერზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა, სისხლისსამართლებრივი სანქციის ნაცვლად, ადმინისტრაციული წესით განისაზღვრება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის კი იმ შემთხვევაში დადგება, თუ ასეთი ქმედება პირმა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგაც ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში კანონის განმეორებით დამრღვევი ან სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე დაჯარიმდება, ან შეეფარდება ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტზე მსჯელობა კამათისა და ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. კანონში შესატანი ცვლილებები რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილმა წარადგინა. მისი თქმით, ინიციატივა ერთგვარად სამშვიდობო გზავნილი იქნება.

– ახალი ცვლილებები ქვეყნის იმიჯს წაადგება და შეიძლება გამოდგეს, როგორც სამშვიდობო ინსტრუმენტი, როგორც მნიშვნელოვანი გზავნილი. ჩვენ ვართ პრინციპულები, მაგრამ ჰუმანურები და იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ხშირად უდანაშაულო ადამიანებს არ ვსჯით. ამ საკითხის პოლიტიზირებისა და მითოლოგიურ განხილვებში გადატანის აუცილებლობას ვერ ვხედავ, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ციხელაშვილს სასწრაფოდ გამოეხმაურა ნაციონალი დეპუტატი გოგა ხაჩიძე.

– ხელისუფლება ამ ცვლილებების ერთ-ერთ რეკომენდატორად ევროპულ სტრუქტურებს მოიხსენიებს. მაინტერესებს, კონკრეტულად რომელი ევროპული სტრუქტურა შეგიძლიათ დაგვისახელოთ, რომელი ოფიციალური დოკუმენტი შეგიძლიათ გვაჩვენოთ ან მიგვითითოთ, რომელშიც



ევროპული სტრუქტურა არის რეკომენდატორი, რომ ამ კანონში ცვლილებები შევიდეს. ჩვენ დაგვირიგდა დოკუმენტები და აქ არის ერთ-ერთი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ კანონპროექტში წარმოდგენილი ცვლილებების შეტანა, როგორც ჰუმანური აქტი, დადებით გამოხმაურებას მიიღებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ამ ცვლილებამ ძალიან დიდი გამოხმაურება რომ მიიღოს, რამე თუ გაქვთ გათვალისწინებული, რომ ამ ხმაურმა არ შეგვაწუხოს?! – მიმართა ციხელაშვილს ხაჩიძემ.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი კი კანონში ცვლილებების შეტანის აზრს ვერ ხედავს. მისთვის გაუგებარია ის ვნებათაღელვა, რომელიც ამ კანონპროექტის როგორც მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების მხრიდან არის.

– იქნებ თქვენ გამარკვიოთ, ეს კანონპროექტი რა შედეგს გამოიწვევს? კანონპროექტი ძალიან გულდასმით წავიკითხე და მიღწეულ მიზნებში ვერც ევროკავშირში შესვლას, ვერც დიალოგის რეჟიმში შესვლას, ვერც გარღვევას ვერ ვხედავ სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით აფხაზებთან და ოსებთან. ამ კანონპროექტის მიზანს ვერ ვხედავ, – აცხადებს დეპუტატი.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა ნაციონალური მოძრაობა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ჩადებული სანქციების შერჩევით გამოყენებაში დაადანაშაულა.

– არაერთი რუსი ჟურნალისტი, რომელიც აღნიშნული კანონის დარღვევით ნამყოფია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, შემდგომ ჩამოვიდა თბილისში, აიღო ინტერვიუ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ „არ დააპატიმრეს და ორი წლით ციხეში არ გამოკეტეს, რადგან ეს მათ ინტერესებში არ შედიოდა“. თქვენი გადასაწყვეტი იყო, ვინ – ციხეში, ვის – ჯარიმა და ვის – ტაშის დაკვრა“, – მიმართა ბერძენიშვილმა ნაციონალებს.

დავით ბერძენიშვილის განმარტებით, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები ასობით რიგით ადამიანს ეხება.

– ეს ეხება იმ ასობით ადამიანს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნამყოფნი არიან, რომელთაც ამ ტერიტორიებთან მიმართებით დაწესებული რეჟიმის თაობაზე არაფერი იცოდნენ და რომელთა უმრავლესობას საქართველოს მიმართ არანაირი მტრული განწყობა არ აქვს, – აღნიშნა დეპუტატმა.

ბერძენიშვილმა კოლეგა ნაციონალებს მათი ხელისუფლების პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებთან და რუსეთთან მიმართებით წარმოებული პოლიტიკის რამდენიმე ეპიზოდიც გაახსენა.

– მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ბევრი წლის განმავლობაში თქვენ არ იყავით, რომ ვერ გამოგიყვანეთ დსთ-დან და ყოველ ექვს თვეში უგრძელებდით მანდატს რუს სამშვიდობოებს?! – ჩაეძია ნაციონალებს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

ნაციონალებს ასეთი რაღაცები, როგორც წესი, მალე ავიწყდებათ ხოლმე. ამ მხრივ გამონაკლისი არც გოკა გაბაშვილია. მისი განცხადებით, ამ კანონის მიღების შემთხვევაში მეოცნებეები ლავროვის ერთიანი არმიის წევრები გახდებიან.

– თქვენ ხართ დაკავებული იმით, რომ საქართველოს უწოდოთ ტერორისტების მფარველი და ამით საკუთარ ქვეყანას შეურყიოთ სახელი და იმიჯი, თქვენ ხართ დაკავებული იმით, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა იყოს თანაბარი რუსეთსა და ევროპასთან. ეს ყველაფერი ცნებების აღრევაა და ამის კვალდაკვალ ამ კანონის ასე გაპარება არ გამოგივიდათ, არც გამოგივათ. საქართველოს მთავრობა დღეს ერთი-ერთში აფიქსირებს იმავე პოზიციებს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხებზე აფიქსირებს რუსეთის მთავრობა. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება მათი აგრესიის შედეგის აღიარება და ეს ხდება იმით, რომ უპირისპირდებით ევროპას, დასავლეთს, არ იზიარებთ მის აზრებს, მზად ხართ ყველაფერი გაუკეთოთ რუსეთს, მათ შორის ამ კანონის გაუქმება, ეს ხდება იმით, რომ საერთაშორისო მხარდაჭერას არყევთ და სამაგიეროდ გსურთ ელაქუცოთ მტერს და გაქვთ მონური იმედი, რომ რაღაც ნაბიჯი იქნება ისეთი, რომელიც ყოფით პრობლემებს მაინც მოაგვარებს, მაგრამ, თავი რომ დავანებოთ ზნეობას, პრაგმატულადაც ეს მიდგომა არის არასწორი. „ოკუპაციის შესახებ კანონში“ ცვლილებების დამტკიცება იქნება რუსეთისთვის გაგზავნილი სიგნალი, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა, მას ყველაფერი გაუკეთოს. აქ არის ლაპარაკი სიგნალზე, რომელიც გინდათ გაუგზავნოთ რუსეთს, რომ თავი გაქვთ წახრილი, რომ ყველაფრისთვის მზად ხართ, ყველა შეკვეთას შეასრულებთ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გააკეთებთ იმას, რაც მათ სურთ – ახალი რეალობის აღიარება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ამიერკავკასიაში არა 3, არამედ 5 ქვეყანაა. პირველ ნაბიჯს დგამთ აქეთკენ და ელოდებით საპასუხოდ გადმოგდებულ ფოჩიან კანფეტებს – იქნება ფოჩიანი კანფეტები, კიდევ შემდეგ ნაბიჯებს გადადგამთ, მაგრამ, კარგად გახსოვდეთ, რომ ეს მარტო ფოჩებია, შიგნით კანფეტები არ არის და ეს ფოჩები შეგრჩებათ ბოლოს ხელში. ის, რაც რუსეთს უნდა – სამხედრო გამარჯვების გაფორმება, დღეს ხდება თქვენი ხელით, ღილაკებზე თითის მიჭერით. იცოდეთ, რომ როცა ამ კანონს ხმას მისცემთ, იქნებით ერთიანი ლავროვის არმია, – მიმართა აღელვებულმა გაბაშვილმა უმრავლესობის წევრებს.

მეოცნებეებს, ცხადია, გაბაშვილის შეგონებანი ყურად არ ულია. მათ გაზვიადებულად მიაჩნიათ იმ საფრთხეებზე საუბარი, რაზეც ნაციონალები დაუღალავად ქვითინებენ. უმრავლესობის წევრი, გორის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ვახტანგაშვილი ამბობს, რომ ის არასოდეს მოაწერს იმ დოკუმენტზე ხელს, რომელიც მისი კუთხის, მისი ქვეყნის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული.

– ის, რაც ვნახეთ დღეს, რაც მოვისმინეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი და, ასე ვთქვათ, კონცერტი, არ იყო მხოლოდ დროის გაწელვაზე გათვლილი. ეს იყო სხვა სიბრტყეში გადატანილი რეალობა და სხვა სივრცეში გველაპარაკებოდნენ, იცოდნენ, რომ, ბუნებრივია, მთელი საქართველო უყურებდა დღევანდელ სხდომას და თემა, რომელიც დღეს განსახილველად იყო გამოტანილი, ყველა ჩვენგანისთვის საკმაოდ აქტუალური იყო, ვინაიდან კონფლიქტები არის ის თემა, რომელიც ყველა ჩვენგანს სტკივა და მე, პირადად, მინდა გითხრათ, რომ ცხინვალში ვარ დაბადებული, გაზრდილი, სახლი და ჩემი წინაპრების საფლავები მელოდება იქ და არასოდეს მოვაწერ იმ დოკუმენტზე ხელს, რომელიც ჩემი კუთხის, ჩემი ქვეყნის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. ეს მინდა, კარგად გაიგონ როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ისე იმ ოპონენტებმა, რომლებიც ამ დარბაზში ან სხვაგან სხედან. რაც შეეხება დღევანდელ თემატიკას, მინდა, გითხრათ, რომ ყოველგვარი არგუმენტების გარეშე „ნაციონალების“ მხრიდან იყო ატეხილი ისტერიკა და მათ ვერც ერთი წონადი არგუმენტი ვერ დადეს იმისთვის, რომ საქართველოს ერთი მოქალაქე მაინც დაერწმუნებინათ თავიანთ სიმართლეში. ამისთვის მე მადლობა უნდა გადავუხადო საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, რომელმაც საკმაოდ არგუმენტირებულად გასცა პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელზეც აქ იყო საუბარი. რაც შეეხება კონფლიქტის წინაპირობებს, მე მინდა გითხრათ ერთი რამ, რომ პოლიტიკაში ყველაფერი შედეგებით იზომება. თქვენ ცხრა წლის განმავლობაში ხელისუფლებაში იყავით და თქვენ ჩაიბარეთ ქვეყანა, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა კოდორის ხეობაზე, ფრონის ხეობაზე, დიდი ლიახვის ხეობაზე, ახალგორზე, პატარა ლიახვის ხეობაზე და რა დაგვიტოვეთ?! რა მემკვიდრეობა დაგვიტოვეთ?! ნებისმიერ თქვენგანს თუ უფიქრია ამაზე?! და ახლა ამ თემების ფრიალით გინდათ, გადაფარვა მოახდინოთ იმ ყველაზე დიდი შეცდომებისა თუ დანაშაულებისა, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიდინა თქვენი მმართველობის პერიოდში. მე მინდა, ამავე დროს, შევეხო ერთ ძალიან მტკივნეულ საკითხს – თქვენ მოსვლამდე ქართველებსა და ოსებს შორის იყო ადამიანური ურთიერთობები. მე ამ თემას შევეხები, რადგან ყველამ იცის, რომ ეს საკითხი ჩემთვის ძალიან ახლობელი და ძალიან მტკივნეულია და ის დამოკიდებულება, რომელიც იქ ადამიანებს შორის იყო, გამოიხატებოდა ურთიერთობებში და მათ გააჩნდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ადამიანები, რომლებიც ასე ურთიერთობდნენ, ხშირ შემთხვევაში, შერეულ ოჯახებსაც ქმნიდნენ. დღეს კი რა მივიღეთ ამის საპირწონედ – მივიღეთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობები და ის ქმედებები, რაც თქვენი მთავრობის წარმომადგენლებმა ჩაიდინეს, სამარცხვინო გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ალბათ, ამაში ყველა უნდა დამეთანხმოთ. დღეს ტაშის დაკვრით შეიძლება ისაუბროთ, მაგრამ, როცა პიროვნულ მაგალითებზე მიდის საუბარი, ადამიანი, რომელიც ახლა ამ დარბაზში იმყოფება და მე არ მინდა, ახლა პიროვნულად გარკვეული ხაზგასმები გავაკეთო, მაგრამ, როდესაც საქართველოში ასეთი უბედურება ხდებოდა და წელან თქვა ზოგმა, ზუგდიდში ვიყავიო და ზოგიერთი კიდევ ცხელ წერტილში ბრძანდებოდა, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, რას აკეთებდით?! როგორ ჩატოვეთ ის ადამიანები დიდი ლიახვის ხეობაში გაუფრთხილებლად?! თუკი იქ კომუნიკაციის საშუალებები ჭირდა და ვერ გააფრთხილეთ ადამიანები, გორის რაიონში რამ შეგიშალათ ხელი, რომ ელემენტარულად გაგეფრთხილებინათ ბავშვები, ქალები, მოხუცები, რომელთაც ექსტრემალური სიტუაციების დროს სწრაფი გადაადგილება არ შეუძლიათ, რამ შეგიშალათ ხელი, მაინტერესებს; ამ „ნაციონალური მოძრაობის“ ციცერონი გოკა გაბაშვილი რომ გამოდის და აცხადებს, იქ ვიყავი და აქ ვიყავიო, შარშანდელი თოვლივით აორთქლდა და გაიპარა გორიდან. ასე არ იყო?! თუმცა ბოლომდე იყო გიორგი კარბელაშვილი, ისიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, მაგრამ მისი პიროვნების მიმართ არც გორში და არც არსად პრეტენზიები არავის გააჩნია და დღეს გულზე მჯიღის კვრით აჩვენებთ საზოგადოებას, თითქოს საქართველოს პატრიოტები ხართ. რომელი ქვეყნის პატრიოტები თქვენ ხართ?! იმ ქვეყნისა, რომელმაც გასული წლის 1 ოქტომბერს გაგცათ პასუხი და დღეს რასაც ჩვენ გვაბრალებთ, თქვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთს ის გავლენები მიეღო საქართველოში, რითაც დღესაა წარმოდგენილი. თქვენმა ხელისუფლებამ გააკეთა ეს და სწორედ ამიტომაც მიიღეთ ის განაჩენი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ 1 ოქტომბრის არჩევნებში გამოგიტანათ, – განაცხადა გორის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

სხვა ნაციონალებთან შედარებით, ლმობიერად არის განწყობილი ამ კანონის მიმართ აკაკი ბობოხიძე. ის კანონისთვის მხარის დაჭერასაც კი აპირებს, ოღონდ ერთი პირობით.

– ჩემი მეგობრებისგან განსხვავებით, მზად ვარ, მხარი დავუჭირო ამ კანონს, თუ ჩვენ მასში ერთ ელემენტარულ ცვლილებას შევიტანთ, რომლის მიხედვით, კანონში შერბილება შეეხებათ მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთის ოკუპაციას არ აღიარებენ. აი, აქ ნამდვილად გამოჩნდება, ეს შეკვეთა გინდათ რუსეთისთვის თუ მართლა გზააბნეული ტურისტებისთვის, რომლებიც თურმე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოსკენ მოისწრაფვიან. ბატონებო, თქვენ ეს გინდათ რუსეთისთვის; ეს, სხვათა შორის, პრობლემა არაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ხვალ რუსეთისგან რას ველოდებით და მინდა გითხრათ, რომ თუ რამეს ელოდებით, ტყუილად ელოდებით, – განაცხადა ბობოხიძემ.

პარლამენტი ამ ცვლილებების განხილვას, სავარაუდოდ, 15 მაისიდან შეუდგება. შოთა მალაშხია გვპირდება, რომ ამ კანონს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს.

# დავით უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

ქართულ პოლიტიკაში აშკარად საინტერესო პროცესები დაიწყო. მავანი ნაციონალებში დიდ დაპირისპირებას ვარაუდობს. განხეთქილებას ელოდებიან „ქართულ ოცნებაშიც“. მთავრობა ერთმა მინისტრმა უკვე დატოვა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ახლო მომავალში დავით კირვალიძის ბედს კიდევ რამდენიმე მინისტრი გაიზიარებს.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ მალე რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილს აუმხედრდებიან. ეს ხმები დავით უსუფაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ კიდევ უფრო გაამძაფრა.

მეცხრე არხის ეთერში საუბრისას დავით უსუფაშვილს საქართველოს პრემიერი შემოეკრიტიკა. რამდენიმე ხნის წინ გადაცემა „პოზიციაში“ სტუმრობისას ივანიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლოა ქართული მხარე მართლაც ამზადებდა ტერორისტებს.

ტერორისტების მომზადების თემა ახალი არაა. ამას რუსული სპეცსამსახურები ყოველთვის ამბობდნენ. ამჯერად კი ამაზე ქართველებიც ალაპარაკდნენ. ეს საკითხი აქტუალური შარშან ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გახდა. ამის თაობაზე განცხადება ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველმაც გააკეთა. უჩა ნანუაშვილი დაჟინებით ითხოვს ლაფანყურის ოპერაციის გამოძიებას.

უსუფაშვილმა სწორედ ლაფანყურზე საუბრისას გააკრიტიკა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რამაც ნაციონალების და არა მარტო მათ გულებში დიდი მოლოდინი გააჩინა.

– ბატონი ბიძინა ხშირად ამას თავადაც ამბობს ხოლმე და ჩივის, საჯაროდ ხანდახან ზედმეტად ისე ვსაუბრობ ხოლმე, არაპოლიტიკოსის ენითო, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა, რომელმაც პრემიერი ლაფანყურის სპეცოპერაციისა და ტერორისტების საქართველოში მომზადების შესახებ ,,საფუძვლიანი ეჭვის“ გამოთქმის გამო მე-9 არხის ეთერში გააკრიტიკა.

პარლამენტის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ გამოძიების დასრულებამდე მსგავს საკითხებზე საუბრისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

– ოპოზიციაში ყოფნა სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ ზოგადად რაღაც საკითხებში, შესაძლოა, მეც და თქვენც ან ორივემ ერთად ან ცალ-ცალკე დავინახოთ ის, რომ იქნებ ჯობდეს ასეთი საკითხებისადმი ცოტა უფრო ფრთხილი დამოკიდებულება. ბატონი ბიძინა ხშირად ამას თავადაც ამბობს ხოლმე და საჯაროდ ჩივის, საჯაროდ ხანდახან ზედმეტად ისე ვსაუბრობ ხოლმე, არაპოლიტიკოსის ენითო. ვთვლი, რომ ამ ძალიან მტკივნეულ და მგრძნობიარე საკითხებზე, საერთაშორისო და საშინაო თვალსაზრისითაც, ზოგადად ჯობს, ყველა დაველოდოთ გამოძიების მასალებს ანუ უტყუარ მტკიცებულებებს და მერე გამოითქვას ვარაუდები. ზოგადად, ეს იქნება უკეთესი. სანამ უტყუარი მტკიცებულებები არ არის, ამ თემებზე საჯარო დებატები, არა მგონია, რამეს ან ვინმეს აძლევდეს ხელს, ან ახალ მთავრობას, ან ქვეყანას, ან ძველ მთავრობას, – აცხადებს უსუფაშვილი.

# რატომ იყვნენ აქციაზე პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმელში?!

ნათია ხურცილავა

**1 მაისს სტუდენტებსა და პოლიციას შორის განვითარებული მოვლენები, შეიძლება ითქვას, რომ არც პირველია და არც უკანასკნელი. როგორც სტუდენტები აცხადებენ, ისინი არ აპირებენ გაჩერებას და კვლავ გააგრძელებენ შრომითი უფლებების მიმართულებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას.**

სტუდენტების განცხადებით, კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ისინი თავიანთ „ხმამაღალ" პოზიციას დააფიქსირებენ, ეს განათლების პრობლემაა.

**დავით ლორთქიფანიძე:**

– ყველა ნორმალურ სახელმწიფოში სტუდენტი აქტიურია. ჩვენ დღეს აქტიურები რომ ვართ, ეს უნდა უხაროდეს ხელისუფლებას. ჩვენ სტუდენტების სტაგნაციის პერიოდი გამოვიარეთ და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო საშინელება. შეუძლებელია, რომ სტუდენტს თავის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე არ ჰქონდეს თავისი მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია და ის ყველაფრის მიმართ გულგრილი იყოს. არ შეიძლება, რომ ახალგაზრდა ადამიანს არ ადარდებდეს თავისი მომავალი, ის თუ როგორ სახელმწიფოში იცხოვრებს. ამიტომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი შრომის კოდექსი და საერთოდ შრომითი ურთიერთობები. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენ არაფრით არ განვსხვავდებით ფრანგი სტუდენტისგან, ინგლისელი სტუდენტისგან, რომლებიც მწვავედ აფიქსირებენ პროტესტს სწორედ იმიტომ, რომ მათ უკეთესი უნდათ და არ მესმის, რა არის აქ გასაკვირი?!

***– შეიძლება ის, რომ აგრესიული იყო რამდენიმე სტუდენტი 1 მაისის აქციაზე, ჩვენ დაზარალებული მოქალაქეც ვნახეთ...***

– ეს არ იყო ჩვენი მიზანი და, საერთოდ, არავის მიზანი არ უნდა იყოს მეორე ადამიანის დაზარალება თუ შეურაცხყოფა. მე ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ აქ მთავარი არის ღირებულებები, ჩვენ ვიცავდით მთავარ ღირებულებას – ადამიანის შრომით უფლებას. ჩვენი უფლებაა, რომ გავაპროტესტოთ ის, რაც არ მოგვწონს, ეს არის ადამიანის მთავარი მონაპოვარი, რომ გამოხატოს ის, რაც მისთვის მიუღებელია, სხვა კი არაფერია სიტყვის თავისუფლება.

***– რას აპირებთ?***

– მუშაობის გაგრძელებას, შრომითი უფლებების დაცვას და ასევე ვაპირებთ ჩვენი მკვეთრი პოზიცია დავაფიქსიროთ განათლების საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის, რაც განათლების მიმართულებით ხდება. თუ არ გახდა მთავარი პრიორიტეტი განათლება, თუ არ გადაიდგა ამ მიმართულებით რეალური და ადეკვატური ნაბიჯები, ასე ჩვენ თანამედროვე და ძლიერ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ვიმეორებ, ხელისუფლებას სტუდენტების აქტიურობა უნდა უხაროდეს თუ, რასაკვირველია, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება აქვს განზრახული.

**სანდრო ტყემალაძე, სტუდენტი:**

– მე მომწონს, როდესაც სტუდენტები აქტიურობენ. სხვანაირად შეუძლებელია, მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერი უნდა იყოს ისე, რომ დავიცვათ კანონით გათვალისწინებული ნორმები. თუ ამ ნორმებს დავარღვევთ, ეს არ იქნება კანონიერი და მოგვიწევს პასუხისგებაც, მაგრამ როდესაც სამართალდამცავი იქცევა ისე, როგორც ქუჩის ბიჭი, ეს გაუგებარია, მიუღებელია და ამას ჩვენ უარი უკვე ვუთხარით. თუ ასე გაგრძელდება, რასაკვირველია, კიდევ შეგვიძლია უარი ვუთხრათ. ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია, როდესაც პოლიციელი სამოქალაქო ტანსაცმელშია და ვერ არკვევ, ის შენს უსაფრთხოებაზე ზრუნავს თუ პირიქით, შეიძლება თავს დაგესხას. მინდა მინისტრს ვკითხო, რატომ იყვნენ აქციაზე




პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმელში? რატომ ტენიდნენ მანქანებში სტუდენტებს ვიღაც ადამიანები, არ ვიცით ჩვენ, ისინი პოლიციელები იყვნენ თუ რიგითი ადამიანები? როდესაც აქციაზე ხარ, მით უფრო, როდესაც აქციის ორგანიზატორი ხარ, ადამიანს ორმაგი ყურადღება გმართებს. რასაკვირველია, ქუჩაში გამოსვლა და დემონსტრაციის მოწყობა სულაც არ ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, მაგრამ შენს წინააღმდეგ რომ არღვევს, ამაზე რა უნდა ვთქვათ? ჩვენ კვლავ ვაპირებთ ვიყოთ აქტიურები, კვლავ ვაპირებთ გავაპროტესტოთ ის, რაც მიუღებელია და რაც შეაფერხებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას ევროპისკენ.

პირველ მაისს სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918"-ის მიერ ორგანიზებულ აქციაზე დაკავებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილში ახსნა-განმარტებები დააწერინეს.

საგამოძიებო სამსახურში 4 სტუდენტი დაიბარეს და ახსნა-განმარტებებთან ერთად დააწერინეს ხელწერილი, რომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებიან.

სასამართლო სავარაუდოდ მომავალ კვირაში გაიმართება. ამის შესახებ სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა.

სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918"-ის წევრების განცხადებით, ისინი მომავალშიც ღიად, მწვავედ და პრინციპულად დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს.

1 მაისის მანიფესტაციასთან დაკავშირებით „ლაბორატორია 1918" განცხადებას ავრცელებს.

– 1 მაისს, შრომის საერთაშორისო დღეს, ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ პირველად, მწვავედ და ღიად დაგვეფიქსირებინა შრომისა და მასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალურობა და მნიშვნელოვნება. ალგვეღნიშნა ეს დღე არა როგორც ზეიმი, როგორც დღესასწაული, არამედ როგორც უფლებებისათვის ბრძოლის დღე. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი სოციალური საკითხები და მათი ფუნდამენტური გადააზრება უნდა გახდეს საზოგადოებისა და პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგის საგანი, რადგან ასეთი საკითხები მთლიანად მარგინალიზებულია სხვადასხვა სახის გავლენებისა და ძალაუფლების მქონე პოლიტიკური თუ ელიტური ჯგუფების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე საქართველოში ბოლო წლებშიც აღინიშნებოდა ოფიციალური პროფკავშირების მიერ, მას არასდროს ჰქონია პრინციპული შინაარსობრივი მხარე, რომელიც იქნებოდა რეალური ბიძგის მიმცემი მშრომელთა უფლებების დაცვისა და მათი უფლებებისათვის ბრძოლისათვის. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ 1 მაისი ყოფილიყო არა მხოლოდ მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლის, არამედ ზოგადად, სოციალური წინააღმდეგობისა და ბრძოლის მეთოდების გადაფასების დღე ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში.

1 მაისის მანიფესტში ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ შეიძლება, სიცოცხლე გადაიქცეს შრომად, შრომა იყოს ადამიანთა დროისა და რესურსების პარაზიტი. არ შეიძლება, შრომა იქცეს ერთადერთ ისტერიულ საშუალებად გადარჩენისათვის, რასაც ადამიანები თანხმდებიან ნებისმიერ ფასად, ნებისმიერ პირობებში. ნებაყოფლობითი მონობა, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში ემსგავსება დაქირავებული შრომა, უნდა შეიცვალოს ღირსეული და თავისუფალი საქმიანობის უფლებით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არა მხოლოდ მშრომელთა პირობების გაუმჯობესებისათვის ვიწყებთ ბრძოლას, არამედ ამ საკითხების ფუნდამენტური გადააზრებით ღიად ვაფიქსირებთ ჩვენს პრინციპულ პოზიციას მთლიანად კაპიტალისტური ლოგიკისა და წესრიგის მიმართ. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამ კუთხით მანიფესტაცია შედგა.

სამწუხაროდ, დემონსტრაციის შინაარსობრივი მხარე და ძირითადი აქცენტები მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა სანახაობაზე ორიენტირებულმა განწყობებმა მთლიანად გადაფარა. პროტესტის ყველა ის ფორმა, რომელსაც მიმართეს აქციის მონაწილეებმა, აბსოლუტურად გაცნობიერებული და ლეგიტიმური იყო, რაც მიზნად ისახავდა სამართლის ნორმების იმ ფასადური კლიშეების ნგრევას, რომლებიც უალტერნატივო საყოველთაო შეთანხმებად გვევლინება, სინამდვილეში კი სწორედ ასეთ გაუაზრებელ ნორმებზე დგას დღეს ის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემა, რომელსაც ჩვენ ჩვენი სიმბოლური ჟესტით დავუპირისპირდით 1 მაისს. ამ დღეს საქართველოში პირველად გამოიკვეთა საჯარო სივრცეში მკვეთრად გამოხატული ანტიკაპიტალისტური პოზიცია. შეიქმნა პრეცედენტი პროტესტის პრინციპული და შედარებით თამამი გამოხატვისა. სწორედ ეს გახდა პოლიციის მხრიდან არაადეკვატური მოქმედებების საბაბი. ყველა მონაწილე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ და დააკავეს კონფრონტაციისას, იცავდა თავს პოლიციის ძალადობრივი და პროვოკაციული ქმედებებისაგან, რაც მიზნად ისახავდა ისტერიულ მცდელობას, დაეშალათ დემონსტრაცია, გადაეფარათ აქციის შინაარსი და არ მიეცათ მონაწილეთათვის უფლება, მისულიყვნენ მანიფესტაციის საბოლოო დანიშნულების ადგილამდე.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველთვის ასე ღიად, მწვავედ და პრინციპულად დავაფიქსირებთ ჩვენს კარგად გააზრებულ პოზიციებს, რომ ყოველთვის ვიდგებით სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების მხარეს და ვიბრძოლებთ მათ მოსაპოვებლად, თუნდაც ეს არ ჯდებოდეს ფასადურ სამართლებრივ კონიუნქტურებში და დღევანდელ მეინსტრიმულ დისკურსში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროცესი, – ნათქვამია სტუდენტური მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„თავისუფალ სტუდენტთა კავშირი" ხელისუფლებას დიალოგს სთავაზობს. კავშირის თავმჯდომარის ნიკოლოზ მეტრეველის განცხადებით, პირველი მაისის აქციაზე მომხდარი ინციდენტების მიზეზი კომუნიკაციის ნაკლებობაა.

სტუდენტთა კავშირი „ლაბორატორია 1918"-ის მიერ ორგანიზებულ აქციაზე მომხდარი დაპირისპირების მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის მზადყოფნას გამოთქვამს.

– არსებული პრობლემები ხელისუფლების ყველა შტომ და ქართველმა საზოგადოებამ ერთად უნდა დაძლიოს. ამ პროცესში ახალგაზრდებს საკუთარი პასუხისმგებლობა აქვთ. ხელისუფლება ვალდებულია, მოისმინოს, გააანალიზოს და საზოგადოებასთან ერთად გადაჭრას ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები, – აღნიშნა ნიკოლოზ მეტრეველმა.

## 1 მაისის აქციის მონაწილე სტუდენტების სასამართლო პროცესი გადაიდო

1 მაისს, რუსთაველის გამზირზე მომხდარ დაპირისპირებაში მონაწილე სტუდენტებისთვის ბრალის წაყენებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 4 მაისს უნდა ემსჯელა, თუმცა უქმე დღეების გამო სხდომა მომდევნო კვირისთვის გადაიდო.

1 მაისის აქციის რამდენიმე მონაწილე სტუდენტი დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილში დაიბარეს, მათ ახსნა-განმარტება ჩამოართვეს და ხელწერილი დააწერინეს. მათი ნაწილი ამ დრომდე შინაგან საქმეთა სამინისტროში რჩება.

„მე როგორც მახსოვს 24 ვიყავით დაკავებულები და მერე გამოგვიშვეს. ეს ბავშვები რატომ დაიბარეს არ ვიცი. სამინისტროს გავრცელებულ განცხადებებშიც და კადრებშიც ჩანს, რომ ძალიან ბევრნი ვიყავით და შესაბამისად გზა იყო გადაკეტილი. მერე კი მათმა ქმედებებმა გამოიწვია ის შეხლა შემოხლა", – განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა, სანდრო ნაგარელმა.

შეგახსენებთ, რომ სტუდენტური მოძრაობა „ ლაბორატორია 1918" 1 მაისთან დაკავშირებით „შრომის კოდექსის" შეცვლისა და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნის მოთხოვნით მსვლელობას მართავდა. მანიფესტაციის დროს კი რუსთაველის გამზირზე სამართალდამცავებმა ორგანიზაციის რამდენიმე წევრი დააკავეს. მათი დაკავების მიზეზი კი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გახდა.

**მედიანიუსი**

## მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობის ვადები არ ირღვევა

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობისათვის დადგენილი ვადები არ ირღვევა. ამის შესახებ მუნიციპალური განვითარების ფონდის განცხადებაში არის ნათქვამი, რომლითაც მან თბილისის მერის, გიგი უგულავას განცხადებებს უპასუხა. უგულავამ გუშინ განაცხადა, რომ პროექტის დასასრულებლად ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო.

როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდში აცხადებენ, მაღლივ კორპუსთან მეტროსადგურის რეაბილიტაცია და დასრულება, რომელიც აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი თანხით უნდა მოხდეს, გეგმის მიხედვით ხორციელდება. წლის ბოლოს კი იქ ფიზიკური სამუშაოებიც დაიწყება. მანამდე პროექტი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ყველა შესაბამის დონეზე ექსპერტიზას გადის.

„თბილისის მეტროს მეორე ხაზის დასრულებისა და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობასთან დაკავშირებით 2012 წლის დეკემბერში ესპანურმა საკონსულტაციო ფირმა „ეუროესტუდიომ" მუნიციპალური განვითარების ფონდს სამშენებლო სამუშაოების დეტალური პროექტი წარუდგინა. პროექტი ამის შემდეგ თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ განიხილა და თავისი შენიშვნები მოგვაწოდა. ამჟამად პროექტი საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ ექსპერტიზას გადის. ამასთან აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნით, პროექტი პარალელურად დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტის მიერაც შემოწმდება. ყველა საჭირო პროცედურის გავლისა და აზიის განვითარების ბანკისგან თანხმობის მიღების შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდი შემოდგომაზე ტენდერს გამოაცხადებს. შესაბამისად, გვინდა ვაცნობოთ ქალაქის მერს, რომ პროექტის განხორციელებისთვის დადგენილი ვადები არ ირღვევა", –– ნათქვამია ფონდის განცხადებაში.

ამავე ცნობით, 2013 წლის დეკემბერში ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანია მუნიციპალური განვითარების ფონდის გეგმის მიხედვით ფიზიკური სამუშაოების შესრულებას დაიწყებს. ფონდის გაანგარიშებით, სამშენებლო სამუშაოები 2 წელიწადში დასრულდება.

თბილისის მეტროს მეორე ხაზის დასრულების და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის" მშენებლობის ღირებულება 45 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

**მედიანიუსი**

## „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა არც რელიგიის და არც რწმენის საკითხი არ არის"




„კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის" თავმჯდომარის დავით ლილუაშვილის განცხადებით, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა „არც რელიგიის და არც რწმენის საკითხი არ არის". ამის შესახებ ლილუაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა" და ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ერთი თვის მანძილზე, ბათუმის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა, „აშენდეს თუ არ ბათუმში ახალი მეჩეთი", იყო მნიშვნელოვანი ინიციატივა, რა დროსაც დაცული იყო ყველა რესპოდენტის უფლებები და ინტერესები. გამოკითხვა თავის მაშტაბებით იყო უპრეცენდენტო, ხოლო შედეგები კი შთამბეჭდავი. სულ გამოკითხულია ბათუმის 59.128 მოქალაქე, აქედან 94% მეჩეთის აშენების წინააღმდეგია. აღნიშნული შედეგებიდან ჩანს, რომ ბათუმის მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა და პოზიციაა, არ აშენდეს ბათუმში ახალი მეჩეთი. ვფიქრობ, აღნიშნულით ბათუმელებმა, მკაცრი უარი უთხრეს თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, ჩვენი ქვეყნის მთავრობისთვის თავს მოხვეულ პროექტს. ვეთანხმები „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" თავმჯდომარის დავით თარხან-მოურავის შეფასებას, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობა „არ არის არც რელიგიის და არც რწმენის საკითხი" და ბათუმის გამოკითხული მოსახლეობის, როგორც მართლმადიდებელი, ისე მაჰმადიანი მრევლის ერთობლივი გადაწყვეტილება ამის ნათელი მაგალითია. გამოკითხის შედეგების მიხედვით, ბათუმის მოსახლეობის გადაწყვეტილება მოტივირებულია, სახელმწიფო ინტერესებიდან და პატრიოტული სულიკვეთებიდან გამომდინარე და ეს მისასალმებელი ფაქტია", – აღნიშნულია განცხადებაში.

**პირველი**

# „დათა ახალაია ნაციონალებს ბევრ პრობლემას შეუქმნის“

გულიკო ბალაძე

**დღესდღეობით შექმნილია აზრი, რომ ახალი ხელისუფლების მიერ ცნობილი სკანდალური და საზარელი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, რომელშიც იმხილებიან ნაცების ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ცნობილი პირები, გარკვეულ სტაგნაციას განიცდის.**

ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა მტკიცებულებათა გაქრობა, ძველი პროკურორებისა და გამომძიებლების არსებობა საგამოძიებო ორგანოებსა და პროკურატურებში, მოწმეების დაშინება, რომ სასამართლო პროცესებზე არ გამოვიდნენ ბრალდების მხარეს და სხვა.

მტკიცებულებების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ ამ შემთხვევაში თუ გამოჩნდება ვინმე ისეთი მოწმე, რომელმაც კარგად იცის სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ და ამის დამადასტურებელ მტკიცებულებებსაც წარმოადგენს, ეს იქნება შველა სამართალდამცავი ორგანოებისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესისთვის.

შეიძლება საქართველოს მთავარ პროკურატურას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც აფერხებს, რომ დიდი დანაშაულების გახსნის შესახებ გამოაცხადოს და საქმე სასამართლოს გადასცეს. ეს არის სასამართლო. ნებისმიერი საქმე, რომელიც სასამართლოში გაიგზავნება, შეიძლება, ელემენტარულად, გაფუჭდეს და ჯოხი ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთ პირზე, ბაჩანა ახალაიაზე გადატყდეს, თითქოს მხოლოდ ის აქცევდა ქვეყანას, ხოლო დანარჩენები, ნაცებიდან, ახლა უსირცხვილოდ რომ ყელყელაობენ, მამა აბრამის ბატკნები არიან. ამის ნათელი მაგალითები არის.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ახალაიებთან უნდა მოილაპარაკოს.

როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ თურქეთიდან შემოდიოდნენ ახალაია, ქარდავა და თოფურიძე, თუმცა ხელისუფლებასთან შეთანხმება ვერ შედგა და უკან გაბრუნდნენ. ზოგადად კი ახალაიების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

***— ჩვენ ვფიქრობთ, რომ დათა ახალაიას აქვს საკმაოდ დიდი ინფორმაცია მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, რადგან დათა ახალაია იყო კუდის უფროსი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ამ ადამიანმა გამოთქვა ჩამოსვლის სურვილი, მერაბიშვილი ამხილა უკანონობაში და თქვა, რომ მის გვერდით დგომა დანაშაულია.***

— ვფიქრობ, ხელისუფლებამ ის კი არ უნდა თქვას, მასთან თანამშრომლობას არ გამოვრიცხავთო, არამედ კონკრეტული წინადადება უნდა შესთავაზოს ახალაიას, რომ მან ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ახალაიას ექნება კონკრეტული მტკიცებულებები, რის შედეგადაც გაიხსნება ბევრი გახმაურებული საქმე და, არ არის გამორიცხული, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბაქრაძე, ბოკერია, მერაბიშვილი და ყველა ის მაღალჩინოსანი, რომლებიც სააკაშვილის დანაშაულებრივი სქემების განხორციელებაში მონაწილეობდნენ, პასუხისგებაში მიეცნენ. ამით მასაც შეუმსუბუქდება მდგომარეობა. კანონმდებლობაში არის სასჯელსა და ბრალზე შეთანხმება. თუ ახალაია ითანამშრომლებს გამოძიებასთან, შეიძლება, ის პასუხისმგებლობა, რომელიც მას აკისრია, შეუმსუბუქდეს, რეალურად, იმაზე ნაკლები მოეთხოვოს, რაც დღეს მოეთხოვება.

***— ერთი მხრივ, დათა ახალაიამ განაცხადა, რომ ითანამშრომლებს გამოძიებასთან.***

— მას ასე არ უთქვამს.

***— მე ასე გავიგე.***

— მან თქვა, რომ ემიჯნება ნაციონალურ მოძრაობას, რადგან ვანო მერაბიშვილის დამსახურებაა ყველაფერი, ცუდი რაც ხდებოდა და ჩამოსვლა მინდაო. ფაქტობრივად, ირიბად თქვა, რომ ითანამშრომლებდა.

***— პროკურატურისთვის ჩვენების სურვილი ხომ გამოთქვა?***

— ჩვენების სურვილი გამოთქვა და ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ადეკვატური ნაბიჯები გადადგან. იმ სახით კი არა, როგორც გამოეხმაურნენ — არ გამოვრიცხავთო. არ გამორიცხავენ კი არა, შეიძლება, ტელევიზია-რადიოთი არ თქვან, რა პირობებზე შეიძლება ითანამშრომლონ ახალაიებთან. რეალურად, ეს უნდა იყოს, მისი უსაფრთხოების დაცვა და სხვა საკითხები. დაცვასთან უნდა შეთანხმდნენ.

***— მისი პასუხისმგებლობის გარკვევასთან ერთად, მისი უსაფრთხოებაც უნდა იყოს დაცული?***

— თანამშრომლობა გამოიხატება იმით, რომ მისცემს ჩვენებებს, რომელთა საფუძველზეც მრავალი საქმე გაიხსნება და ბევრი ადამიანის პასუხისმგებლობა გამოიკვეთება.

***— შეიძლება, კონკრეტული მტკიცებულებებიც ჰქონდეს?***

— მტკიცებულებების გარეშე აზრი არ აქვს თანამშრომლობას. მას ექნება მტკიცებულებები, რადგან ის იყო ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რაც უკვე ავტომატურად მისი და მისი ძმის მდგომარეობასაც შეამსუბუქებს. დღეს ამ ადამიანმა, ფაქტობრივად, საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე იმ



კუთხით, რომ მისმა ალაპარაკებამ შეიძლება გარკვეულ პირებს პრობლემა შეუქმნას. ამიტომ მისი უსაფრთხოება დასაცავია. დარწმუნებული ვარ, ბაჩანა ახალაიაც იმიტომ არ იღებს ხმას, რომ ციხეში საფრთხე ემუქრება, ვინაიდან ყოფილ შს მინისტრ მერაბიშვილს სისტემაში დღესაც ჰყავს თავისი ხალხი. ეს დაადასტურა ღარიბაშვილმაც, რომელმაც თქვა, რომ 19 აპრილს შეიძლება პოლიცია უმძიმესი დარტყმის ქვეშ დადგეს. მან დააფიქსირა, რომ მერაბიშვილს კვლავ აქვს გავლენა შს სამინისტროში. ბაჩანა ახალაიამ ლაპარაკი რომ დაიწყოს, არ არის გამორიცხული, ციხეში ვინმემ რაღაც მოუწყოს, რის შედეგადაც მისი ლიკვიდაცია მოხდეს. ამიტომ, რეალურად, მისი უსაფრთხოებაც უნდა იყოს დაცული და გამოძიებამ კონკრეტული შეთავაზებაც უნდა გაუკეთოს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას დიდად არ უნდა დათა ახალაიას ჩამოსვლა და აქ ახალაიასთან დალაპარაკება.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ამით კოჰაბიტაცია დასრულდება. დათა ახალაიას სააკაშვილზეც, მერაბიშვილზეც და ყველა სხვაზეც ექნება კომპრომატები და კონკრეტული მტკიცებულებები. ამით ამ პირების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება, კოჰაბიტაციაც დასრულდება და ნაციონალური მოძრაობაც დასამარდება. ეს ვიღაცას არ აწყობს. ამიტომ ეს ყველაფერი ჩვენთვის გასაკვირია.

***— მეორე მხრივ, შვილების ბედი მამა ახალაიას უფრო ხომ უნდა აწუხებდეს, რომელიც, ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის შუაგულში ტრიალებს, პარლამენტში ზის და ხმას არ იღებს.***

— არა, მამა ახალაია ნაციონალურ მოძრაობას გაემიჯნა. მან განაცხადა კიდევაც, ნაციონალურ მოძრაობას ვტოვებო.

***— ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ მამა ახალაიამ განაცხადა?***

— პირადად არ უთქვამს, მაგრამ ასეთი ინფორმაცია გამოვიდა. ფაქტობრივად, როლანდ ახალაია ნაციონალური მოძრაობისაგან გამიჯნულია. რეალურად, იქ რაღაც ცვლილებები მიდის და ეს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს.

***— ცვლილებები მიდის ნაციონალურ მოძრაობაში?***

— ცვლილებები კი არა, დინებები. ხომ ხედავთ, ერთმანეთს დაერივნენ — დათა ახალაიამ თქვა, ბევრ სიურპრიზს უნდა ელოდეს მერაბიშვილი ჩვენგან და ბევრი დანაშაულია მერაბიშვილის მიერ ჩადენილიო. ვერულაშვილი სააკაშვილს ყველაფრით გვერდით ედგა, ყველაფერი იცის და მანაც განაცხადა ეს. ამიტომ ამ ხალხს უკვე კონკრეტული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

***— როგორ ფიქრობთ, ნაცების თავკაცებს უნდოდათ, ყველაფერი თავის თავზე აეღო ბაჩანა ახალაიას?***

— უნდოდათ კი არა, ასეა. სააკაშვილსა და მერაბიშვილს უნდათ, ყველაფერში ხელები შეაწმინდონ ახალაიებს. თითქოს მარტო ისინი არიან მარგინალები. ისინი ანგრევდნენ ქვეყანას. ახალაიები ფრთიანი ანგელოზები რომ არ არიან, ფაქტია. მათ აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა, მაგრამ ახალაიები ყოველთვის ვიღაცის დავალების შემსრულებლები იყვნენ. რასაც ახალაიები აკეთებდნენ, სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის დავალებით აკეთებდნენ. ამიტომ იმ ადამიანებზე ჯოხის გადატეხა და მთავარი დამნაშავეების დაუსჯელობა, მათი პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა. ვფიქრობთ, საჭიროა, ახალაიებს კონკრეტული შეთავაზებები მიეცეთ ისე, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას, მაგრამ, თუ ისინი კონკრეტული დანაშაულების შესახებ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს მიაწვდიან გამოძიებას, მათ მიმართ გატარდება საპროცესო სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული შეღავათები, რითაც ისინი ისარგებლებენ.

***— შეიძლება, სათანადო ორგანოები ამაზე მუშაობენ და ჩვენ არ ვიცით.***

— არ ვიცი, ვერ ვატყობ და, იცით, რატომ? ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ დათა ახალაია, მეგის ქარდავა და თოფურიძე შემოდიოდნენ თურქეთიდან საქართველოში, მაგრამ მოლაპარაკებისას ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ. ამიტომ ისინი უკან გაბრუნდნენ. რეალურად, მოლაპარაკებები არის, მაგრამ კონკრეტული შეთანხმება ვერ ხდება. ვფიქრობ, მოლაპარაკებაში მერაბიშვილის ხალხია ჩართული, რომლებიც ხელს უშლიან შეთანხმებას. მათ ინტერესებში არ შედის დათა ახალაიას ჩამოსვლა და ჩვენებების მიცემა, შედეგად კი მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება.

***— ანუ ქარდავაც და თოფურიძეც მზად იყვნენ, მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიეცათ?***

— არ ვიცი. ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ქარდავაც და თოფურიძეც აპირებდნენ შემოსვლას, მაგრამ მოხდა ისე, რომ არ შემოვიდნენ.

***— თქვენ რატომ გაგაგებინეს, შემოსვლა უნდოდათ და დაცვის თვალსაზრისით მოგმართეს?***

— მათ შემოსვლა უნდოდათ. ან როდემდე უნდა იყვნენ გაქცეულები და დამალულები? სად დაიმალებიან.

***— თქვენ ხომ არ შემოგთავაზეს დაცვის განხორციელება?***

— არა. მათ ჰყავთ დაცვა. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში ჯერაც ვნებათაღელვაა იმაზე, დათა ახალაიას განცხადება, რეალურად, არის თუ არა მისი. თუკი ასეთი ჭოჭმანია, შე დალოცვილო, გამოდი და თქვი მეორედ და მესამედაც, რომ ნამდვილად ახალაიას დაფიქსირებული პოზიცია იყო. ამის გაკეთება საჭიროა იმიტომ, რომ დათა ახალაიას განცხადების შემდეგ ონიანმა განაცხადა (ახლა უფლებადამცველია, ადრე შს სამინისტროში მუშაობდა), ეს განცხადება დათა ახალაიას არ ეკუთვნისო. ამან საზოგადოების დაბნეულობა გამოიწვია. დამცველი რომ ხარ, თქვი, რომ განცხადება დათა ახალაიასია და ცრუ ინფორმაციებს ნუ ავრცელებენ. თუ საჭიროა, ეს ერთხელაც უნდა თქვა, ორჯერაც და სამჯერაც. მე დამისვეს კითხვა, ეს დათა ახალაიას ნათქვამი არ არისო? როგორ არ არის დათა ახალაიას განცხადება, როცა მისი დამცველი აცხადებს, არისო.



***— საზოგადოების ინტერესია, გამოჩნდნენ ადამიანები, თუნდაც ნაციონალების წრიდან, რომლებიც ისაუბრებენ, რეალურად რა ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და ვინ რა დანაშაული ჩაიდინა.***

— 9 თვის მანძილზე ვერც ერთი გახმაურებული საქმე ვერ გაიხსნა. გამოძიება თითოეულ საქმეზე ჩიხშია მოქცეული. ფაქტობრივად, დღეს გახმაურებული საქმეები რომ გაიხსნას, კონკრეტული მტკიცებულებებია საჭირო.

***— მტკიცებულებები, როგორც ჩანს, გააქრეს. აბა, ხომ არ დატოვებდნენ?***

— მტკიცებულებები აქვთ ახალაიებს, რადგან, რეალურად, ახალაიები მუსიკის მასწავლებლებად არ მუშაობდნენ, მაგრამ იმ ინფორმაციების გავრცელებისაგან, რაც მათ აქვთ, ჯერ თავს იკავებენ. როდესაც მათ თანამშრომლობის გარკვეული პირობები ექნებათ, უკან არ დაიხევენ. ფაქტია, დათა და როლანდ ახალაიები დარწმუნდნენ, რომ ჯოხი ტყდება მხოლოდ მათ ოჯახზე, მარგინალები გამოდიან მხოლოდ ისინი, ისინი ყოფილან ქვეყნის დამანგრევლები. ახლა მიხვდნენ ამას. ამიტომ უნდათ ალაპარაკება. ამაში ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი.

***— თუ ზუსტად ვიცი, იყო ინფორმაცია, რომ ბაჩანა ახალაიას შეიძლება ბრალი დაუმძიმდეს.***

— რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს მრავალ დანაშაულს უკავშირებენ, თუმცა, თუ ისინი ალაპარაკდებიან, მათ მიმართ გავრცელდება შემამსუბუქებელი გარემოებები. მოვუწოდებ ხელისუფლებას, აქტიურად ითანამშრომლოს ახალაიებთან. ამით ბევრი საქმე გაიხსნება და ნაციონალური მოძრაობის გასამართლებაც დაიწყება. ამ ადამიანების ფიზიკური ლიკვიდაცია რომ მოხდეს, ამით დაინტერესებულია ნაციონალური მოძრაობა. არც ის არის გამორიცხული, დათა ახალაიას განცხადება ირიბად ერთგვარი მუქარაც იყოს იმ მოწმეებზე, რომლებიც მერაბიშვილის კადრები არიან (მერაბიშვილის მოადგილეები გახლდნენ) და ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე დათანხმდნენ. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ დათა ახალაიას განცხადება სწორედ მას შემდეგ გაკეთდა, რაც ითქვა, რომ მერაბიშვილის მოადგილე ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა.

## სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნებს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებს, გუშინ ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. დაკავებულებს ბრალად, დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისება-გაფლანგვაში დახმარება და სამსახურებრივი გულგრილობა ედებათ.

ამას გარდა, გუშინ ბრალი წაუყენეს ჩეხური კომპანია „ზეტორის“ თანამშრომელსაც. მას ბრალი ორი მუხლით - მტკიცებულებების ფალსიფიკაციის და ყალბი საბუთების დამზადების მუხლით წაუყენეს. ამ დროისთვის, არც ერთი დაკავებული ბრალს არ აღიარებს.

სამართალდამცავებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები ორი დღის წინ დააკავეს.

**ნიუსპრესი**

## ვანო მერაბიშვილს შესაძლოა სასამართლოში უჩივლონ

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაძლოა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს სასამართლოში უჩივლოს.

გამგებელი პაპუნა კობერიძე, მერაბიშვილის მიერ, გუშინ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება, როდესაც მერაბიშვილმა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გორში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში, ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციულ დაინტერესებაზე ისაუბრა.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, მერაბიშვილის ეს ინფორმაცია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

შეგახსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილმა აღნიშნული განცხადება პარტიის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა .

„გორში, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის სახურავების გადახურვაზე არის 10%-იანი — ბატონი ბიძინასთვის გასაგები ტერმინით რომ ვთქვათ — „ვაზვრატების“ პრობლემა. იგივე ეხება დაზარალებულებისთვის კომპენსაციების გაცემას, სადაც დეკლარირებული კორუფციაა. მინდა დღევანდელ ხელისუფლებას ვუთხრა, რომ არ დაუშვას საქართველოში კორუფციის შემობრუნება და ქვეყნის შევარდნაძის ეპოქაში დაბრუნება“ — განაცხადა მერაბიშვილმა.

**ნიუსპრესი**

# რა პრობლემებს შექმნის „შრომის ახალი კოდექსი“

მერი ნამორაძე

რა პერსპექტივა ექმნებათ დასაქმებულსა და დამსაქმებელს ახალი შრომის კანონმდებლობის მიღებისას? რა ლაფსუსებს ხედავენ ოპონენტები ცვლილებათა პროექტში, რომელსაც გულისფანცქალით ელოდებიან დასაქმებულები? პოლიტიკის ანალიზის ცენტრის ექსპერტი ნათია სამუშია მიიჩნევს, რომ ცვლილებები ძალზე გაართულებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას და დასაქმება დასჯადი ქმედება ხდება, რადგან, დამსაქმებელი თუ აიყვანს დასაქმებულს სამსახურში, ძალიან რთული იქნება მისი სამსახურიდან გაშვება. ამიტომ დამსაქმებელი ყოველთვის ეცდება, რაღაცნაირად დაიზღვიოს თავი და მხოლოდ მას შემდეგ აიყვანოს სამსახურში, ვიდრე მის სრულყოფილებასა და პროფესიონალიზმში ბოლომდე არ დარწმუნდება.

სამუშიას თქმით, ახალი ცვლილებების მიხედვით, კოლექტიური ხელშეკრულების მხარე ყოველთვის უნდა გახდეს პროფკავშირი, რითაც ეს ორგანიზაცია კოლექტიური შრომითი ურთიერთობის მონოპოლისტი პროფკავშირი ხდება:

– ვთქვათ, გვინდა, მე და თქვენ დამსაქმებელთან მივიდეთ და სხვანაირი ხელშეკრულება დავუდოთ, რომელიც ჩვენთვის ორივესთვის მისაღებია. თუ ამის უფლება გვქონდა, რადგან დასაქმებულთა გაერთიანება ვიყავით, ახლა ამის უფლება არ გვექნება. იძულებულნი ვიქნებით, შევაგროვოთ 50 კაცი, ჩამოვაყალიბოთ პროფკავშირი, პროფკავშირს ვუხადოთ ერთი პროცენტი ჩვენი ხელფასიდან და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, დამსაქმებელი დაგველაპარაკოს და გავხდეთ კოლექტიური ურთიერთობების მხარე. ეს მძიმე და რთული რამ არის. რატომ ეძლევა პროფკავშირს ამის უფლება, ჩემთვის გაუგებარია. ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ ეს წერია შრომის საერთაშორისო კონვენციაში, რაც ტყუილია. საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის საერთაშორისო ურთიერთობების 98-ე კონვენცია, რომლის მე-4 მუხლი ამბობს, რომ კოლექტიური მოლაპარაკების მხარე შეიძლება იყოს დამსაქმებელი და დასაქმებულთა გაერთიანება და არა მხოლოდ პროფკავშირი, – აღნიშნა „ფრონტ ნიუსის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე სამუშიამ.

ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ არის დავა მხარეებს შორის, ამ შემთხვევაში ჯანდაცვის მინისტრს შეუძლია, ისე, რომ არც ერთ მხარეს არ ჰკითხოს, მედიატორი დაუნიშნოს ამ ურთიერთობაში, რაც არის წარმოუდგენელი ჩარევა კერძო დავაში. სამუშიას მთლად სასაცილოდ ეჩვენება კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც სამსახურიდან დათხოვნას ეხება:

– მგონი, ამ კანონს ისეთი ადამიანები წერდნენ, რომლებიც იურიდიულ საკითხებში მთლად ვერ ერკვევიან, იმიტომ რომ გამოვიდა ასეთი რამ – დამსაქმებელი თუ ეტყვის დასაქმებულს სამსახურიდან გათავისუფლებაზე, დასაქმებულს შეუძლია გაიფიცოს და გაფიცვის დროს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა დაუშვებელია. შესაბამისად, დამსაქმებელს შეიძლება სამუდამოდ ჰყავდეს დასაქმებული, რომელიც იქნება გაფიცული და ვერასოდეს გაუშვებს სამსახურიდან. ვიმედოვნებ, ეს ხარვეზი გამოსწორდება, ასეთი რამ წარმოუდგენელია და არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება, – აღნიშნა ექსპერტმა.

სამუშიას თქმით, ძვირდება შრომითი ურთიერთობები, შემოდის ზეგანაკვეთური ანაზღაურება, რომელიც უნდა იყოს უფრო ძვირი, ვიდრე სახელფასო განაკვეთია. ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს სამი რამ: გაიზრდება არალეგალური უმუშევრობა, შემცირდება ხელფასები და შემცირდება დასაქმება. ამის მაგალითად ესპანეთი მოიყვანა, სადაც უმუშევრობა 27%-ია, პორტუგალიაში უმუშევრობა 17%-ია, საბერძნეთში კი – 30%; ახალგაზრდების უმუშევრობა 57%-ია. ჩვენს შეკითხვას, თუ რა გამოცდილება აქვს ევროპას ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სამუშიამ უპასუხა, რომ თუ ევროკავშირის სტანდარტებს ავიღებთ, ანაზღაურებადია უფრო მაღალი განაკვეთით, ვიდრე სახელფასო განაკვეთი. მაგრამ მთავარი არის ის, რომ საქართველოს, 2011 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე შემცირებული აქვს 2 პროცენტით, მაშინ როდესაც ევროკავშირში 27 წევრი ქვეყნიდან 19 ქვეყანას უმუშევრობის დონე აქვს გაზრდილი საშუალოდ 7 პროცენტით ანუ ევროკავშირის 70% ქვეყანას უმუშევრობა გაზრდილი აქვს. ასეთი ინიციატივით ჩვენ მივდივართ იქითკენ, სადაც უმუშევრობა იზრდება.

*„ახალი თაობა“ ნათია სამუშიას*




*გაესაუბრა:*

***– ქალბატონო ნათია, ჩვენი დასაქმებულების ხელფასი იმდენად მწირია, ხშირად საარსებო მინიმუმს დიდად არ ჩამოუვარდება. რას იტყვით ამაზე?***

– მიუხედავად აგვისტოს ომისა, მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, 2004 წლიდან საქართველოში საშუალო წლიური ხელფასი იზრდება. არც ერთხელ არ დაკლებულა და 2003 წელთან შედარებით საშუალო ხელფასი გაზრდილია 405 პროცენტით. საშუალო წლიური ხელფასი, 2012 წლის მონაცემებით, არის 636 ლარი.

***– როგორ ფიქრობთ, დასაქმებულთა რამდენ პროცენტს აქვს ასეთი ხელფასი?***

– ძალიან ცოტას რომ ჰქონდეს, საშუალო არითმეტიკული როგორ გამოვიდოდა? ეს მარტივი არითმეტიკაა.

***– რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ საჯარო სამსახურების მაღალჩინოსანთა სახელფასო განაკვეთის დიდი სხვაობა, შედარებით დაბალი ჩინის მქონე ადამიანთა ხელფასებისგან. სჭირდება თუ არა ამას დარეგულირება?***

– მე არასდროს ვეთანხმებოდი იმას, რომ რამენაირი დიფერენციაცია უნდა იყოს საჯარო სექტორში დაქირავებულთათვის. შრომის კოდექსით უნდა იყოს თანაბარი პირობები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მომუშავეთათვის. არ არის საჭირო, საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანს დამატებითი გარანტიები ჰქონდეს.

***– უნდა შეიცვალოს თუ არა კანონმდებლობა დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებით?***

– დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებით არაფერი იცვლება, მაგრამ ქალებთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, როგორ ფიქრობთ, დამსაქმებელს თუ ეცოდინება, რომ ქალს უნდა მისცეს 9-თვიანი შვებულება, რომ ბავშვის გაჩენიდან სამი წელი ვერ გაუშვებს სამსახურიდან, რომ უნდა აუნაზღაუროს თვეში ათასი ლარი და ასე შემდეგ, ოდესმე აიყვანს ქალს სამსახურში?

***– რატომ ფიქრობთ, რომ არალეგალური უმუშევრობა გაიზრდება ახალი შრომის კოდექსის მიღების შემთხვევაში?***

– ვინ არიან დამსაქმებლები? მაგალითად, ჩემი მეზობელი, რომელმაც გამოიტანა კრედიტი, გახსნა პატარა მაღაზია ჩემს ეზოში, ჩადო ბინა უზრუნველსაყოფად და იხდის სესხში 800 ლარს. ეს ადამიანი იძულებული იქნება, ჰყავდეს ერთი დასაქმებული მაგივრად ორი დასაქმებული, რადგან სამუშაო საათების რაოდენობა შემცირდა. გამოდის, რომ ან მაღაზია უნდა დაკეტოს შაბათ-კვირას და შემოსავალი შეიმციროს, ან უნდა ამუშაოს 10-დან 6-საათამდე, ან უნდა აიყვანოს 2 ადამიანი და უფრო მეტი გადაიხადოს. დამსაქმებლისა და დასაქმებულის შრომით ურთიერთობაში დამსაქმებელი მეტად რისკავს. შესაბამისად, შრომით ურთიერთობებში ხარჯები ისე არ უნდა გავუზარდოთ, რომ იმ ადამიანმა სესხი ვერ გადაიხადოს და ჩადებული ბინა დაკარგოს. არადა, თუ იარსებებს, კარგი იქნება, რადგან ერთ ადამიანს მაინც დაასაქმებს და თავის ოჯახსაც არჩენს.

***– უნდა არსებობდეს თუ არა სტრუქტურა, რომელიც გააკონტროლებს თუნდაც სამუშაო საათებსა და დასაქმებულის სხვა უფლებების შესრულებას?***

– დღევანდელი კოდექსით, კვირაში სამუშაო საათების რაოდენობა 41 საათია. თუ ორივე მხარე თანახმაა, რომ იმუშაონ მეტი ან ნაკლები, პრობლემა არ არის. მაგრამ, საკანონმდებლო ცვლილებებით, კვირაში სამუშაო დრო 40 საათით უნდა განისაზღვროს. ამის გასაკონტროლებლად ევროკავშირში არსებობს გარკვეული უწყებები და ყველგან არის კორუფცია. ჩვენ გვქონდა შრომის ინსპექცია და მე არ ვისურვებდი, რომ ეს აღდგეს, რადგან ეს იქნება კიდევ ერთი ორგანო, რომელიც უნდა შევინახოთ ჩვენ, გადასახადების გადამხდელებმა, რომლებიც ივლიან, შეამოწმებენ და არ ვიცით, როგორ ჩაწერენ. ამას წინათაც დაიჭირეს ადამიანები კორუფციის ბრალდებით. შეიძლება, ისინი დამნაშავეები სულ არ არიან, მაგრამ რისკი და საშიშროება ყოველთვის არსებობს. რაიმე დიდი ორგანოს შექმნის შემთხვევაში, რომელსაც გადასახადებით შევინახავ, არ მაქვს გარანტია, რომ ზუსტად შეამოწმებს შრომის პირობებს, რადგან ასეთი უკვე გვყავდა და მხოლოდ კორუფციის ჭაობი იყო, სხვა არაფერი.

***– რამდენად არის შესაძლებელი, პროფკავშირმა აიღოს ეს ფუნქცია?***

– ჩვენი პროფკავშირი, რომელიც მოთქვამს, რომ ხალხი მონობაშია, დადის ისეთი მანქანით, რომლის შესაძენად მე დიდი სესხის გამოტანა მომიწევს. ეს ყველაფერი ცოტა ფარისევლობაა. ისინი მაგონებენ კანონიერ ქურდებს, რომლებიც ემსახურებიან რაღაც ჯგუფს და, უკაცრავად ამ სიტყვის გამოყენებისთვის, „ობშჩი იაკს“ აგროვებენ ანუ ერთ პროცენტს თუ გადაუხდი, მოგემსახურებიან.

***– განათლების მინისტრმა ახალ შრომის კოდექსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ეს, ფაქტობრივად, დამსაქმებელთა დასჯაა. ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?***

– ვფიქრობ, რომ შრომის ახალი კოდექსი დააზიანებს შრომით ურთიერთობებს და შეამცირებს დასაქმებას. მარგველაშვილის განცხადებას, რომ ეს რაღაც ლუქსემბურგის დროინდელია და გამოვა, რომ ამ ცვლილებებით ჩვენ ხელს ვუშლით დასაქმებას, აბსოლუტურად ვეთანხმები და მთავრობის სხვა წევრებსაც მოვუწოდებ, გაიაზრონ, თუ როგორ შეიძლება დააზიანონ შრომის ბაზარი ამ ცვლილებებით.

## გამოკითხულთა უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის“ დასაქმების კონცეფციას პიარზე გათვლილ ნაბიჯად აფასებს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 26 აპრილიდან 3 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ახალი ხელისუფლებისთვის შეთავაზებულ ე.წ. „დასაქმების კონცეფციას“ პიარზე გათვლილ ნაბიჯად მიიჩნევს.

კითხვაზე – „რა არის რეალურად თქვენი აზრით „ნაციონალური მოძრაობის მიერ“ ხელისუფლებისთვის შეთავაზებული „დასაქმების კონცეფცია,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 52,4 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს პიარზე გათვლილი კოცეფციაა, 28,6 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ შეთავაზება რეალურ გათვლებზე დამყარებული ეკონომიკური პროგრამაა.

გამოკითხვაში მონაწილეთა 14,2 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს კონცეფცია პოლიტიკური ბრძოლის იარაღია, ხოლო 4,8 პროცენტს, დასმულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ნიუსპრესი

## სასწრაფო დახმარების 27 თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს

სასწრაფო დახმარების 27 თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის მიზეზად, სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი სამედიცინო სამსახურში განხორციელებულ რეორგანიზაციას ასახელებს.

შალვა ბრაჭულის თქმით, გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა, სამუშაო სპეციფიკის პროფესიული ტესტი ვერ ჩააბარეს.

ცენტრის ყოფილი თანამშრომლების თქმით, კი, მათ ტესტირების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ და ამასთან დაკავშირებით, მის ჩატარებამდე მხოლოდ სამი საათით ადრე შეიტყეს.

ნიუსპრესი

## რუსმა სამხედროებმა კიდევ ორი ქართველი დააკავეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისთვის რუსმა სამხედროებმა კიდევ ორი ქართველი გიორგი შუბითიძე და თორნიკე რიკაძე დააკავეს.

დაკავებულები საჩხერის რაიონის სოფელ ხვანიდან არიან. ოჯახის წევრების განცხადებით, ისინი ჯონჯოლის საკრეფად იყვნენ წასულები, როცა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააკვეს.

ისინი თავად დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და მომხდარის შესახებ აცნობეს. მათ გასათავისუფლებლად მოლაპარაკებები ევროკავშირის წამრმომადგენლების მონაწილეობით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ გუშინ რუსმა სამხედროებმა 11 ადამიანი დააკავეს. ამ დროისათვის ხუთი მათგანი გათავისუფლებულია.

მედიანიუსი

## „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა“ აქცია გამართა

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა „ევრაზიის ინსტიტუტის“ მხარდაჭერით სამამულო ომის არდავიწყებისა და სააკაშვილის როგორც სამხედრო დამნაშავის გასამართლების მოთხოვნით თბილისში, ვაკის პარკის შესასვლელთან საპროტესტო აქცია – „იგი ვერ იფიქრებდა, თუ ოდესმე საქართველოში ფაშიზმი გაიმარჯვებდა“ გამართა.

როგორც ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წევრმა ირაკლი ყიფიანმა განმარტა, ეს დღე ფაშიზმზე და ნაციზმზე გამარჯვების დღეა. 2-3 მაისს დასრულდა ბერლინის აღების ოპერაცია და რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშა ქართველმა მელიტონ ქანთარიამ აღმართა, რომელიც, ყიფიანის შეფასებით, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ სააკაშვილის ცხრაწლიანი ფაშისტური რეჟიმი საქართველოში გაიმარჯვებდა.

ვაკის პარკის შესასვლელთან მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ფაშიზმზე და ნაციმზე გამარჯვება სააკაშვილმა ეჭვქვეშ დააყენა. თითქოს ეს ომი არ იყო სამამულო და 3 000-ზე მეტი ქართველი სხვის ომს შეეწირა. ფაშისტთა ჯარი კავკასიაში შემოიჭრა. მაშინდელმა საქართველომ დიდი როლი ითამაშა ამ ჯარების შეჩერებაში.

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი სააკაშვილის სამართლიანად გასამართლებისთვის მის გადაცემას ჰააგის ტრიბუნალისთვის ითხოვს.

დღევანდელი აქციის მონაწილეებმა ვაკის პარკის ტერიტორიასთან ე.წ. ილუსტრირებული პლაკატები გააკრეს, სახელწოდებით: „ქართველო, ნუ დაივიწყებ დიდ სამამულო ომს“. მსგავსი პლაკატების გაკვრას ისინი თბილისის მასშტაბით აპირებენ. ასევე მსგავსი აქცია საქართველოს მასშტაბით ერთი კვირის განმავლობაში გაიმართება.

მედიანიუსი

## სადახლოზე არადეკლარირებული ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს

სადახლოზე დიდი ოდენობით ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს. კერძოდ, 3 მაისს, სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, სომხეთიდან საქართველოში „ფოლცვაგენის“ მარკის სომხეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომანქანა შემოვიდა, რომელსაც სომხეთის მოქალაქე ა. კ. მართავდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე ავტომანქანის დეტალური დათვალიერება განახორციელეს. შემოწმების შედეგად, მანქანის უკანა სავარძელსა და საწვავის ავზს შორის არსებულ სათავსოში არადეკლარირებული საქონელი, დიდი ოდენობით სავარაუდოდ ვერცხლის ნაკეთობები გამოვლინდა. ნაკეთობების საერთო წონა 1,266კგ-ა. საქონელი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ექსპერტიზაზე გაიგზავნა.

მედიანიუსი

## ნათელაშვილი ოლიმპიურ კომიტეტს მოუწოდებს, რომ პრემიერს არ დაემორჩილოს



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, ოლიმპიურ კომიტეტს, სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების შეცვლისკენ და პრემიერის არდამორჩილებისკენ მოუწოდებს.

„სააღდგომოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ჩვენსა და წინაპართა საფლავებს შორის კვლავ დგას რუსი ავტომატიანი მესაზღვრე და ამ დროს პრემიერი ივანიშვილი იღებს გადაწყვეტილებას სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს ფაქტობრივად არის ჩვენთვის წართმეული სეპარატისტული ტერიტორიების აღიარება და სამშობლოს ღალატი.

მოვუწოდებთ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შეცვალოს ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება და არ დაემორჩილოს სატელიტ პრემიერს, რომელსაც რუსეთში მხოლოდ თავისი ფულადი ინტერესები აქვს „– განაცხადა ნათელაშვილმა.

ნიუსპრესი

# ომარ მხეიძე: „სირცხვილია, ქართულ ცეკვას თავშესაფარი არ აქვს!“

ეკა ირემაშვილი

ქართველი მოცეკვავე ანსაბლ „სუხიშვილების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ომარ მხეიძე საქართველოს მწერალთა კავშირმა ქართული კულტურის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. ჭაბუა ამირეჯიბის, პაატა ბურჭულაძის, ვაჟა აზარაშვილისა და რეზო ჩხეიძის შემდეგ, მწერალთა კავშირმა ქართული კულტურის რაინდის წოდება ამჯერად უკვე მოცეკვავეს მიანიჭა.

ომარ მხეიძეს ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს. გამორჩეული გარეგნობისა თუ თვისებების წყალობით, იგი ქართველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მასზე არაერთ ქკვიანურ გამონათქვამს გაიგონებთ, თუმცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ნათქვამი სიტყვები მაინც სულ სხვაა: „ბედნიერია ის, ვისაც ეს მადლი აქვს, ვინც ცდილობს შეურიგდეს მას, რომლისგანაც მიღებული აქვს წყენა.“ დასავლეთ საქართველოს მწერალთა კავშირმა მას სპეციალური შრომა მიუძღვნა და ქართული ცეკვის გენია უწოდა, თუმცა მისი მისამართით გაიგონებთ, რომ იგი ქართული ცეკვის ცოცხალი მემატიანეა. ომარ მხეიძეს სხვადასხვა დროს ქართველმა საზოგადოებამ „საუკუნის მოცეკვავე“, „ჩემი ოცნების მოცეკვავე“ და „მფრინავი ვეფხვიც“ კი უწოდა იმ განუმეორებელი ნახტომის გამო, რომელიც ფოტოებზეც კი არის აღბეჭდილი.

ომარ მხეიძე:

– სიმართლე გითხრათ, ასეთ ჯილდოს ნამდვილად არ ველოდებოდი. გაზეთებიდან მესმოდა შეფასებები ჩემზე – ქართული ცეკვის რაინდიო, სულ ასეთი აზრი მუსირებდა ჩემს შესახებ. ახლა კი ქართული კულტურის რაინდის წოდება მომანიჭეს. ჩემთვის ეს უდიდესი პატივია, თითქოს გამაახალგაზრდავა. განსაკუთრებული ღვაწლისთვისო ჯილდოს აწერია. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ ჯილდოს ღირსად ჩამთვალა. განსაკუთრებული მადლობა მაყვალა გონაშვილს და ჟიურის ყველა წევრს, რომლებმაც ერთხმად დამიჭირეს მხარი ამ ჯილდოს მისაღებად. ყველასგან დიდ სითბოს და ყურადღებას ვგრძნობ, ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია. მთელი ცხოვრება განსაკუთრებით მეფერება რეზო მიშველაძე და მადლობა მასაც. კულტურის სამინისტროს რომ მოენიჭებინა ჩემთვის ეს ჯილდო, ნაკლებად გასაკვირი იქნებოდა, მაგრამ როდესაც მწერალთა კავშირმა ჩამთვალა ამ ჯილდოს ღირსად, ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. მწერალთა კავშირი ხომ მაჯისცემაა ჩვენი ერის, უდიდესი პიროვნებები მოღვაწეობდნენ იქ და ახლაც არიან. ისინი ქართულ ერს სულს უბერავდნენ და ახლაც უბერავენ. ასეთ დიდ ტაძარში ასეთი ჯილდო მომანიჭეს და რა უნდა ვთქვა?

***– ბატონო ომარ, როცა განვლილ ცხოვრებას გადახედავთ, ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ?***

– ჩვენ გვყავდა არაჩვეულებრივი მათემატიკის მასწავლებელი და კლასს ძალიან გვიყვარდა. ისეთი დამრიგებელი იყო ჩვენი, ისეთ რჩევებს მოგვცემდა, გაოგნებული დარჩებოდით. მთიელი კაცი იყო და ეროვნულ ღირებულებებზე გვესაუბრებოდა, რაინდურ თვისებებს გვინერგავდა. გვიამბობდა, როგორ უნდა გვყვარებოდა ქართველი ერი, რით განვსხვავდებით სხვა ერებისგან. ერთხელაც, საკლასო ოთახში ბავშვები ერთმანეთს რაღაცებს ვესროდით და ფანჯარა გატყდა. უცებ შემოვიდა ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი, იკითხა, ვინ გატეხა ფანჯარაო და ყველანი გავისუსეთ. მაშინ თქვა, მე თქვენდამი სიყვარულს ყოველთვის ვიღებ და ეს არ არის რაინდული საქციელი, თქვით, ვინ გატეხა ფანჯარაო. ისევ გავჩერდით და იცით რა გვითხრა? მე და ჩემს ძმას ფინჯანი გაგვიტყდა ოჯახში, წავედით და შევაწებეთ ისე, რომ არ ჩანდა თუ გატეხილი იყო, დედას ასე დავახვედრეთ, მაგრამ სულ იმ ფინჯანს ვუყურებდით, ის კი იყო შეწებებული და მთელი ჩანდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ის გატეხილი და მერე შეწებებული იყოო. მაშინ გვითხრა, ასეთი საქციელი ღალატის ტოლფასია, გაბზარული ჭურჭლის შეწებებასავით არისო. ჭურჭელი მთელია, ბზარები კი სამუდამოდ რჩებაო. ამ მაგალითმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. სულ ვცდილობ, დავივიწყო ბზარები ჩემს გულში, არასოდეს ვინახავ გულში წყენას, მეორე, მესამე, მეოთხე დღეს წყენა მავიწყდება. კარგად მესმის, რომ ადამიანები ცოდვილები ვართ და ბევრ რამეს ვაშავებთ, ამიტომ მინდა ყველას ვაპატიო. ნამდვილად მწყენია ადამიანებისგან, მაგრამ არასოდეს მდომებია ამ წყენის დამახსოვრება და სამაგიეროს გადახდა. მეც ცოდვილი ვარ, ბევრ რამეში ვცდები, ამიტომ ჩემ მიმართ ვისაც კი აქვს არასწორი საქციელი ჩადენილი, ვცდილობ ვაპატიო და ამას ვახერხებ კიდეც.

***– ცეკვა ბავშვობიდან გინდოდათ?***

– ღმერთი ყოველთვის დააბერტყავს ხოლმე ადამიანს ნიჭს და იმ ნიჭის სიყვარული უნდა გვქონდეს. რაც ერთ ადამიანს შეუძლია, ის მეორე ადამიანს არ შეუძლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყოველთვის ერთგული და თავდადებული ვიყავი ჩემი პროფესიის. ცეკვა სიგიჟემდე მიყვარდა და ახლაც მიყვარს. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, ძალიან მეუხერხულება, მაგრამ ერთი რამის



თქმა მინდა: ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ დაარსებული ანსამბლის პირველ თაობას არ ვეხები, მე რომ ანსამბლში მივედი, მხოლოდ და მხოლოდ 8 წლის დაარსებული იყო. კარგად მახსოვს, ვაგონში როგორ ვცხოვრობდით. როცა გასტროლზე გავდიოდით სხვადასხვა ქალაქებში, გამოყოფილი გვქონდა თბილისიდან ვაგონი, რომელშიც ჩვენი ქვეშაგები გვქონდა და გაყოფილი იყო ეს ვაგონი – ნინოს და ილიკოს ვაგონი ცალკე იყო და ჩვენი – ცალკე. ამ ვაგონში მივდიოდით კონცერტის შემდეგ და ვცხოვრობდით, ეს ვაგონი ყოველთვის იდგა რკინიგზის რომელიღაც ჩიხში და სულ მის ძებნაში ვიყავით. გათბობაც იყო და ცხელი ჩაიც, ჩვენ ჩვენი კონსერვები გვქონდა, „კერასინკებზე“ ათბობდნენ ქალები და ასე ვიკვებებოდით. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარდა ანსამბლი. როცა უკვე გაიხსნა ევროპაში გზები და პარიზში გავედით, მერე ჩვენი პირობები გაუმჯობესდა. საერთოდ, ცეკვა უნდა გიყვარდეს, უნდა გიხაროდეს და როცა სცენაზე იღლები, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

***– ამბობენ, ნინო რამიშვილს განსაკუთრებულად უყვარდით. ეს სიმართლეა?***

– ნინო რამიშვილს ყველა ძალიან უყვარდა და ყველას პატივს სცემდა. ჩემ მიმართ იყო ძალიან თბილი დამოკიდებულება ანსამბლში. თავხედი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მქონდა უფლება, როცა მომინდებოდა, მაშინ მივსულიყავი მათ ოჯახში. ნინო რამიშვილი ჩემს ქორწილში მოვიდა, ის ჩემს ქორწილში ძალიან დიდი სტუმარი იყო, ჩემს მეუღლეს მიართვა ძალიან დიდი საჩუქარი და დედაჩემმა უთხრა, ქალბატონო ნინო, ობლობაში გაზრდილი მყავს ჩემი შვილი და ჩამიბარებია თქვენთვისო. მამა ადრე გარდამეცვალა, 7 წლის ვიყავი და დედამ ობლობაში გამზარდა. მართლაც ასე მექცეოდა ნინო რამიშვილი, ის სცენაზე იყო პარტნიორი, რეპეტიციაზე დიდი მომთხოვნი და მკაცრი. სულ ამბობენ, მკაცრი იყოო, გააჩნია ვისთვის იყო, ის სამართლიანად მკაცრი იყო, მისგან შენიშვნა არასოდეს მიმიღია. კარგად მესმოდა, რომ ეს იყო ჩემი პროფესია და ბოლომდე უნდა დავხარჯულიყავი. ანსამბლის სამხატვრო დონე მას ებარა. ის სულ სხვა იყო სახლში, სულ სხვა იყო სამსახურში, სულ სხვა იყო პირად ცხოვრებაში. მე და თენგიზი ერთად ვიზრდებოდით, ერთად გვეძინა. გოსკონცერტიდან დავდიოდით საზღვარგარეთ, ყველა რესპუბლიკიდან იკრიბებოდნენ სხვადასხვა ჟანრის ხელოვანები და ატარებდნენ კონცერტებს. არც ერთი კონცერტი არ გამიცდენია. იქ გვიწვევდნენ ჩვენც. ერთხელაც, მე და თენგიზი ვიყავით ერთ-ერთ სუფრასთან, გვიან დავბრუნდით სახლში. ნინოს გაუცია ბრძანება, არ გაუშვათ ომარი, აქ დააწვინეთო. დილით ნინოს დედამ გამაღვიძა, ბებიკას ვეძახდით, ჩაი დამალევინა და მითხრა, წადი ახლა, მიუსწარი, სანამ ნინო რეპეტიციაზე მოვაო. ვითომ ნინომ არ იცოდა, რომ მე იქ ვიყავი. წინა პლეადა ჩემზე 8-10-11 წლით უფროსები იყვნენ და მხოლოდ მე ვიყავი 18 წლის. როგორც კი მივედი ანსამბლში, უკვე ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი გავხდი და ნინო რამიშვილის პარტნიორი ვიყავი, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და სიხარული იყო. ამით ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დღესაც. ამ გზას გავყევი, 30 წელიწადი ვიყავი ანსამბლში და ყველა პლეადას მოვესწარი. როცა ქართული ცეკვის შემსრულებელი ზურა ქველიძე წავიდა ანსამბლიდან, ნინო რამიშვილმა მითხრა, გასმებზე იმუშავეო, მაგრამ უარი ვუთხარი, ძირითადად მთიულურ ცეკვებს ვასრულებდი, დავლურში მთავარ პარტიას ვცეკვავდი და არ მინდოდა ქართულზე მუშაობა. ახლა კი მომდის გული, უნდა მემუშავა და უარი არ უნდა მეთქვა, მაგრამ რაღა დროსია. ამ ოჯახთან საოცარი ურთიერთობა მქონდა. მისი მემკვიდრეების გამარჯვება ჩემი გამარჯვებაა, თუკი რამეში გამოვადგები, ყოველთვის მზად ვარ მათ გვერდით ვიყო.

***– არ გაგიჭირდათ ანსამბლიდან წამოსვლა?***

– როგორ არ გამიჭირდა. ანსამბლში ჩემი ყოფნის ბოლო წლებში ვიმყოფებოდით მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „რასიაში“ გვქონდა კონცერტი. ერთ-ერთი მოცეკვავის შეცვლა მომიხდა და ყოველ წუთში სცენაზე ვიყავი. კონცერტს ესწრებოდნენ ჯანსულ ჩარკვიანი და ჯიმი მიქელაძე. მოსკოვში ცხოვრობდა დოდო ჭიჭინაძის ძმა რეზო ჭიჭინაძე. ულამაზესი კაცი იყო, ვაჟკაცური ბუნებით, ჟურნალისტი, განათლებული და ნაკითხი, პროფესიონალი მონადირე. რომ ჩავედით მოსკოვში, მითხრეს, რა გინდა სასტუმროში, მოდი რეზოსთან შევიკრიბოთო. 4 სართულიან სახლში ცხოვრობდა რეზო და პირველ სართულზე ცხოვრობდა დიდი ბალეტმეისტერი ლავროვსკი, მისი დედა იყო ჩიკვაიძე, რომელიც თავის მხრივ იყო პირველი პარტნიორი ქალი ვახტანგ ჭაბუკიანის. ამ კონცერტიდან წავედი რეზოსთან და რას ვხედავ, მასთან შეკრებილან სოფიკო ჭიაურელი, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ნანი ბრეგვაძე, ჩვენი მოცეკვავე გიზო ბერაძე, ჯანსულ ჩარკვიანი და ჯიმი მიქელაძე. არ ველოდი ასეთ ხალხს და დავიბენი. ჯანსული მეუბნება, ომარ, რამდენი წლის იყავი, ანსამბლში რომ მიხვედიო. ვუთხარი, 18 წლის ვიყავი, რომ მიმიწვიეს-მეთქი. რამდენი წელია ამ ანსამბლში ხარო, 30 წელია ანსამბლში ვარ-მეთქი. შენი წლოვანების ბუღალტერი გადის პენსიაში, რა ცეკვა აგიტყდა, ვერ ჩამოგიყვანეთ სცენიდანო. მერე მიუბრუნდა ჯიმი მიქელაძეს და ეუბნება, შენ ხომ კარგი სროლა იცი, ესროლე და დაჭერი ეს შობელძაღლი და მოკვდება სცენაზე, აბა, ისე არ ჩამოდის სცენიდან, მაგრამ მერე მის მეუღლეს, მედიკოს, რა ვუყოთო. ჯიმიმ უთხრა, მე ვერ ვესვრი, ბებია მყავდა მხეიძეო. ისეთ ატმოსფეროში მიხდებოდა და მიხდება ცხოვრება, რომ ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და სასახელოა. იმ დროინდელი კორიფეები ქართულ კულტურაში ჩემს გარშემო იყვნენ.

***– ყველაზე მეტად რას ნანობთ?***

– არაფერს არ ვნანობ, მაგრამ ერთი ყველაზე დიდი ტკივილი მაქვს – პირადი არქივი დამეკარგა. საზღვარგარეთ ვიყავი წასული, როცა ჩემები ახალ ბინაში გადავიდნენ, მთელი ჩემი არქივი დიდ ყუთებში იყო ჩაწყობილი და დაიკარგა. ბავშვობის სურათი მხოლოდ და მხოლოდ ორი ცალი მაქვს. ისეთი არქივი მქონდა – მსოფლიოში განთქმულ ადამიანებთან გადაღებული სურათები, ჩემზე სტატიები, ჩემი ხელნაწერები, პირადი მოგონებები, ყველაფერი დავკარგე. ძალიან მენანება ჩემი არქივი და გულნატკენი ვარ, მაგრამ ვეღარ დავიბრუნებ, სამწუხაროდ. კიდევ ის მაწუხებს, რომ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირს არ აქვს შენობა. სირცხვილია, ქართულმა ცეკვამ, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო და მას მერვე საოცრება უწოდეს, დღეს თავშესაფარი არ აქვს. რა გახდა 2-3 ოთახი, რომ გამოგვიყონ და იქ შევიკრიბოთ ხოლმე. ყველა კავშირს აქვს შენობა, მარტო ჩვენ ვართ ასე ღია ცის ქვეშ დარჩენილები. კი არ მშურს, ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს. ჩვენ საოცარი ადამიანები გვყავს რეზო ჭანიშვილი, უჩა დვალიშვილი, ისინი ამ საქმის ნამდვილი პროფესორები არიან. ძალიან ბევრი მასალა გვაქვს და უბინაოდ ვართ დარჩენილები.

***– თქვენს ცოდნას გადასცემთ მომავალ თაობებს?***

– ხშირად მეკითხებიან სხვადასხვა საკითხებზე აზრს. იცით რას დავაკვირდი? როცა მეკითხებიან 20-30 წლის წინანდელ ამბებს და ვუყვები, მერე დროთა განმავლობაში ჩემს ნაამბობს თვითონვე მიბრუნებენ ზოგიერთები. ყველასი მადლობელი ვარ, როცა მეკითხებიან, მეც გულახდილად ვესაუბრები. პედაგოგიურ მოღვაწეობას კი არ ვეწევი.

***– რატომ?***

– 48 წლის ვიყავი, როცა წამოვედი ანსამბლიდან და ჩემი გეგმები რაც მქონდა, ვეღარ განვახორციელე, ამიტომ გავანებე თავი. სამაგიეროდ, მოგონებებს ვწერ, „სხვადასხვა“ დავარქვი, სადაც აღვნიშნავ როგორ დავიწყე, რა შემთხვევები მქონდა მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში. შიდა სამზარეულოს უფრო ფართოდ გამოვიტან გარეთ. ამ მოგონებებზე მუშაობას ალბათ მალე დავასრულებ.

***– ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ქართული ცეკვების დამახინჯებაზე.***

– სანამ ცეკვებზე ვიტყოდე რამეს, გამოთქმების დამახინჯებაზეც მინდა ვისაუბრო. როცა ჩვენი ანსამბლები კონცერტს მართავენ საზღვარგარეთ, ამბობენ, რომ ჩვენი მოცეკვავეები ეცეკვებიან... სიტყვა „ეცეკვებიან“ არ არის სწორი გამოთქმა. ჩვენ ვის ვეცეკვებით? არც არავის. ეცეკვებოდნენ სულთანს, რომ იჯდა ჰარამხანაში და ქალები ეცეკვებოდნენ. ჩვენ კი ცეკვის საშუალებით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, თვისებებს და წესჩვეულებებს გადმოვცემდით სცენიდან. ეს სულ სხვადასხვა რამეა. რას ნიშნავს ეცეკვები? საერთოდ, კრიტიკას მივესალმები, მაგრამ ჯანსაღ კრიტიკას და არა შურიანს. კრიტიკა კეთილშობილური, დამრიგებლური უნდა იყოს. აქ კი, რატომღაც, რომ იტყვი რამეს, მტერი ჰგონიხარ ყველას, რაც სიმართლე არ არის.

***– ბატონო ომარ, საგანგებოდ თქვენთვის თუ დგამდნენ ცეკვებს?***

– რა თქმა უნდა. სპეციალურად ჩემთვის დაიდგა ბევრი ცეკვა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში „უცხო მონადირე“ დაიდგა, რომელიც თემატური ცეკვა იყო. ხევსურული სიუიტა ჩემზე იყო აგებული. ნინო რამიშვილთან ერთად უნდა შემესრულებინა ეს ცეკვა, მაგრამ ვერ ჩაჯდა განლაგებაში ნინო რამიშვილი, სამაია ვერ დათმო, ამიტომ ჩემი პარტნიორი გახდა ლეილა დუმბაძე, არაჩვეულებრივი მოცეკვავე, მერე იამზე დოლაბერიძე, მერე მანანა აბაზაძე. ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში ჩემი პარტნიორი იყო საოპერო მომღერალი ცისანა ტატიშვილი. 15 თუ 16 წლის იყო, რომ მოვიდა ჩვენთან და საოცრად ცეკვავდა. პარტნიორ ქალბატონებში ძალიან გამიმართლა, მართლაც ერთმანეთზე უკეთესი პარტნიორები მყავდა. ცეკვას უნდა ჰქონდეს აზრობრივი დატვირთვა, მარტო ხელების ქნევა არაფერია. ცეკვაში აზრი უნდა იყოს ჩადებული და არა სურვილი. საერთოდ, ცეკვის წარმატება სწორი შეფასების შედეგია, ცეკვის შედეგს კი განაპირობებს გამოცდილება. ცეცხლოვან ცეკვებს აქვს ყველაზე დიდი წარმატება, რადგან მთელი დატვირთვა მოდის ცერზე, მუხლზე, სანახაობრივადაც არაჩვეულებრივია. საკონცერტო პროგრამა ასეთი ცეკვების გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცეკვა ქართულს ვუწოდე ქართული ცეკვების გვირგვინი და ეს მართლაც ასეა. უცხოეთში ვერ იგებენ, რადგან მასში ქართული ტრადიცია, ეშხი და სინარნარეა გაერთიანებული. მაგრამ რაღა შორს მივდივართ, ცეკვა კინტაური ავიღოთ, ამ ცეკვას ვერ იგებს ვერც ბათუმი, ვერც გურია და ვერც ქუთაისი. ყველა ცეკვას თავისი ისტორია აქვს და თითოეულს თავისებური მაყურებელი სჭირდება.

***– თქვენი ოჯახიც ასეთი ტრადიციულია?***

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 6 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „ქალები„ (მელოდრამა. 1.50 მ. რაიანი„ ა. ბენინგი„ ე. მენდესი) (12)01.35 მხ/ფ „აზრთა მქუხარებელნი„ (ქ.ს.ლეიტერი)03.15 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „ბრიმი„01.00 მხ/ფ.03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 ირაო „აღდგომა აფხაზეთში„ 07.20 6000 დავით გარეჯელი მოწამე 07.30 მოკ/ფ „ქვევრი„ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 კონცერტი - ბიძინა კვერნაძე 14.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ III ნაწ. 15.55 ეთნოგრაფია 16.10 მოკ/ფ „ალავერდობა„ 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მე, ბებია ილიკო და ილარიონი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პასექის ჟამნი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ/ფ „იერუსალიმი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „გელინო„

მაესტრო 7.00, 1.30, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.00 მაგთიფანი კონცერტი

## ხუთშაბათი 9 მაისი

6.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 ქართული მხ/ფილმი: „ჯვარცმული კუნძული„ (რეჟ: შ. მანაგაძე) 18.30 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „შერლოკ ჰოლმსი„ (ტიტ.) (ჯ.ლოუ)

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „მეხიკო„ 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 7 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „დეჟა ვუ„ (ჯ.ქევიზელი)00.45 მხ/ფ „მარტოხელა გულები„ (ს.ჰაიეკი)02.30 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო01.00 მხ/ფ03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „გელინო„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „იერუსალიმი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მე, ბებია ილიკო და ილარიონი„ 13.30 კონცერტი - ქართული ხმები 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ IV ნაწ. 15.55 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.20 კონცერტი - „ისევ ის ბაღი„ შოთა მილორავა 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ღიმილის ბიჭები„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ „სტუმრად პატრიარქთან„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ/ფ „სიმებიანი კვარტეტი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „გადადექი ფაშა„

მაესტრო 7.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

## პარასკევი 10 მაისი

6.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო შეიარაღება„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ოფსაიტი„ (ტიტ.)

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

7.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.35 რომ გადახვალ„ გააჩერე 17.50 სერ. „მაგნატები„ 8 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „სიყვარულის დღესასწაული„ (გ.კინეარი)02.10 მუსიკა

7.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ01.00 მხ/ფ03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „გემღერებოდეს დედაო„ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ „სტუმრად პატრიარქთან„ 11.00 დოკ/ფ „სიმებიანი კვარტეტი„ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ღიმილის ბიჭები„ 13.35 კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ წმინდა მიწაზე„ V ნაწ. 16.10 მოკ/ფ „სამოთხის გვრიტები„ 17.00 საუბრები ლიტერატურაზე 17.30 დოკ/ფ „გიორგი ჯიბლაძე„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩარირამა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 მოკ/ფ „სიყვარულის ცეცხლი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30, 16.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

## შაბათი 11 მაისი

8.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ. ან/ფ „უკანასკნელი მიმზი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„ 13.00 დ/ფ „ღვინო„ 14.00 ქართ. მხ/ფ „უდიპლომო სასიძო„ 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — მარტა გერჰოლდი 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 მხ/ფ „სანამ მოკვდები„ (ჯ.ნიკოლსონი) 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.20 მოკ. მხ/ფ „ბუდე„ 00.00 მხ/ფ „გააანალიზე ეს„ (რ. დე ნირო)

8.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „პიკის საათი-3„ (კ.ტაკერი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — მარია მონტესორი 20.00 მხ/ფ „გრან ტორინო„ 22.00 ტ/სერ „დედა„ I სერ. 23.00 მხ/ფ „გაფრენილი კოცნა„ (ტიტ.) (ვ.კილმერი)

7.30 ან/ფ „ბარბის დღიურები”09.00 მხ/ფ „უცნაური ფერია„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ „ავატარი„ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „ოქროს კერპი„ 3 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ „ტონინო გუერა საქართველოში„ (გ/ჩ) 17.50 სერ „მაგნატები„ 9 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ფარული მუქარა„ 01.35 მხ/ფ „კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება„ (ვ.მორტენსენი) (ტიტ.)03.55 მუსიკა

8.00 კურიერიჰ დაიჯესტი08.30 MTV ROOM RAIDERS09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„09.30 შერეკილები 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი 2. 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა01.00 „Latin Angels”01.30 სერ. „ბრიმი„02.00, მხ/ფ კლიპები

6.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე, ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.15 ერთი წვეთი 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ჩარირამა„ 13.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 13.55 ქრისტიანული სწავლება 14.05 მოკ/ფ „ფეოლა„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 14.55 შვიდ გზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ოპერა-„აბესალომ და ეთერი„„ 16.40 დოკ/ფ „წმინდა მიწაზე„ VI, VIII ნაწ. 17.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.10 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ „ჩემი მშვენიერი ლედი„

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30, 5.30 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 11.00, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 15.30, 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 „ყოველდღიური აბები„ (გამ.) 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ „პრესპრესი„ 1.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 2.30 „ღია კარის დღე„ (გამ.)

## კვირა 12 მაისი

8.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„08.20 საბ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: „მეფე ლირი„ 15.00 ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის„ დაჯილდოების ცერემონიალი 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: „ტორპედო„ /ქუთაისი/ — „დილა„ /გორი/ (პ/რ) 20.00 მხ/ფ „ღამეები როდანტაში„ (რ.გირი) 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი01.30 მხ/ფ „კონსტანტინი„ (კ.რივზი)

8.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „კოპენჰაგენი„09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „ავტომრბოლელი„ (ს.სარანდონი) 12.20 მხ/ფ „ქალი კატა„ (ჰ.ბერი) 14.20 მხ/ფ „ ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი„ (დ. რედკლიფი) 17.00 მხ/ფ „ოუშენის 12 მეგობარი„ (ჯ.კლუნი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — „აგატა კრისტი„ 20.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი-4„ (მ.გიბსონი) 22.00 ტ/სერ „დედა„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „პირადი მცველი„ (ტიტ.) (უ.ჰიუსტონი)

7.30 ან/ფ „ბარბი: ფერიების ქვეყანა და წყალქვეშა სამეფო„09.00 მხ/ფ „ყაჩაღები„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„13.00 სერ.„ოქროს კერპი„ 4 სერ.14.20 მხ/ფ „საჰარა„ 17.40 იმედის გმირები 17.50 სერ „მაგნატები„ 10 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ„ გააჩერე 23.30 იმედიატორი01.00 დოკ/ფ „ელექტრონავტები”02.00 მუსიკა

8.00 კურიერი დაიჯესტი08.30 MTV ROOM RAIDERS09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 „საქართველოს ვარსკვლავი„ 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ)01.30 სერ. „ბრიმი„02.00 მხ/ფ კლიპები

6.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ლუკას სახარება„ 13.15 ქრისტიანული ხელოვნება 13.45 დოკ/ფ „გემღერებოდეს დედაო„ 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 დოკ/ფ „დიდი ანდრიას ნაკვალევზე„ 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ/ფ „ფესვები„ 21.35 „თვენი„ თომა მოციქული 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ/ფ „წმინდა ანდრია მოციქული,ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში„ 23.30 კონცერტი - ქრისტე აღსდგა 00.30 მხ/ფ „ვერის უბნის მელოდიები„

მაესტრო 7.00, 23.30, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.15, 18.45, 3.30 „ღია კარის დღე„ 11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 15.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 20.00, 4.30 ჩემი ქორწილი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 1.30 კვირის აბები

# როდის გაათავისუფლებენ იულია ტიმოშენკოს?

## ევროსასამართლომ უკრაინის ექსპრემიერის დაკავება უკანონოდ მიიჩნია

– მაისი უკრაინისათვის ბობოქარი იქნება, რაზეც არაერთი ფაქტორი მიუთითებს, – წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“, – მეტიც, მაისი – ესაა ერთგვარი ტესტი უკრაინის ხელისუფლებისათვის, რომელიც აცხადებს, რომ ევროპასთან დაახლოება სურს.

მაისში მართლაც არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა გათვალისწინებული. პირველმა მაისმა უკვე მშვიდობიანად ჩაიარა. ახლა წინაა ცხრა მაისი. 25 მაისს კი დაგეგმილია გეიაღლუმი, რომელიც უკრაინის რიგ ქალაქში, მათ შორის კიევშიც, უნდა ჩატარდეს.

– ყველაფერი ეს შემთხვევითი როდია, – წერს პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, – რუსეთი ჩვენ მიმართ კვლავაც ზეწოლისა და პროვოკაციების პოლიტიკას განაგრძობს, თუმცა უმთავრესი ხელისშემშლელი, ალბათ, მაინც ტიმოშენკოს ფაქტორია.

იულია ტიმოშენკოს დაპატიმრებამ ყველა აღაშფოთა. ეს თანაბრად ეხება როგორც უკრაინულ საზოგადოებას, ასევე დასავლეთსაც. მართალია, პრემიერის პოსტზე ყოფნისას ტიმოშენკო კრიტიკის ქარცეცხლში იყო გახვეული (უკრაინელი ნაციონალისტები მას პრორუსული კურსის გატარებასაც კი სდებდნენ ბრალად), მაგრამ მის მიმართ იანუკოვიჩის მიერ გამოყენებულმა მეთოდებმა უკურეაქცია გამოიწვია.

– ნებისმიერ აქციას სათანადო იდეოლოგიური უზრუნველყოფა სჭირდება, – წერს ნაბოჟენკო, – იანუკოვიჩმა ეს არ გააკეთა და შედეგიც სახეზეა.

ტიმოშენკოს გასამართლებამ უკრაინა-ევროკავშირს შორის უდიდესი პრობლემები წარმოშვა. „ესაა პოლიტიკური დევნა. ვიქტორ იანუკოვიჩმა თავის პოლიტიკურ ოპონენტს ანგარიში გაუსწორა“, – ასეთი იყო დასავლეთის პოზიცია. შედეგად უკრაინა-ევროკავშირს შორის დიალოგი ერთხანს შეწყდა. ექსპრემიერის გასამართლებამ რუსეთთანაც პრობლემები წარმოშვა. აკი განაჩენში ნათლად წერია, რომ ტიმოშენკომ ვლადიმერ პუტინისაგან ქრთამი აიღო და უკრაინისათვის კაბალურ ხელშეკრულებას ხელი ამიტომ მოაწერა. ამრიგად, უკრაინის საერთაშორისო იზოლაციის კონტურები უკვე ნათლად გამოიკვეთა.

– ტიმოშენკოს გასამართლება შეცდომა იყო, – წერს პოლიტოლოგი ნაბოჟენკო, – იანუკოვიჩისათვის გაცილებით ხელსაყრელი გახლდათ ტიმოშენკო -დეპუტატი, ვიდრე ტიმოშენკო – პატიმარი.



დასავლეთთან დიალოგის განახლება უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა. კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ვილნიუსის სამიტზე (ის ამა წლის ნოემბერში ჩატარდება) უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირება მოხერხდება. ხელშეკრულება თავისუფალი სავაჭრო ზონების შემოღებასა და უკრაინისათვის ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსის მინიჭებას გულისხმობს. ამ დროს ტიმოშენკოს ფაქტორმა კვლავ მტკივნეულად იჩინა თავი. იანუკოვჩს ექსპრემიერის გათავისუფლება კვლავ მოსთხოვეს. პოლონეთის პრეზიდენტმა კომაროვსკიმ (ის დასავლეთში უკრაინის უმთავრესი ლობისტია) იანუკოვიჩს განუცხადა, რომ „ტიმოშენკოს საქმე უკრაინა-დასავლეთის დაახლოების საკითხში უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორია. პრეზიდენტი მაინც ყოყმანობდა.

– იანუკოვიჩს ტიმოშენკოსი ეშინია, – თვლის ექსპერტი ჩალი, – იულია ვლადიმიროვნას რეიტინგი ხომ პრეზიდენტისას ბევრად აჭარბებს! ექსპრემიერს აუცილებლად გაათავისუფლებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება.

ამა წლის გაზაფხულზე „ტიმოშენკოს საკითხი“ კვლავ აქტუალური გახდა. ცნობილი იყო, რომ 30 აპრილს ევროსასამართლო უკრაინის ექსპრემიერის საქმეზე განაჩენის გამოტანას აპირებდა. იანუკოვჩს ტიმოშენკოს შეწყალების თხოვნით კვლავ მიმართეს. თხოვნას ხელი მოაწერეს ცნობილმა მწერლებმა, სპორტსმენებმა, სასულიერო პირებმა, პარლამენტის დეპუტატებმა. იუსტიციის მინისტრი ლავრინოვიჩი აცხადებდა, რომ შესაძლებელია პრეზიდენტმა ტიმოშენკო შეიწყალოს. ამას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა გენერალური პროკურორი ფშონკა. პარლამენტში რეგიონების პარტიის ფრაქციის ლიდერი ეფრემოვი კი აცხადებდა:

– ტიმოშენკოს მიმართ კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მას ბრალად ედება ვლადიმერ შჩერბანის მკვლელობის ორგანიზებაც. სანამ ეს საქმეები არ დასრულდება, შეწყალებით გათავისუფლებაზე ლაპარაკი შეუძლებელია!

ასეთ პოზიციაზე იდგა პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიაც. თავად იანუკოვიჩი კი დუმილს ამჯობინებდა. პრეზიდენტი ასევე დუმს დღესაც, როცა ევროსასამართლომ ტიმოშენკოს დაპატიმრება უკანონოდ ცნო. სამაგიეროდ, მისი პარტიის წევრები სხვადასხვა განცხადებებს აკეთებენ. ლავრინოვიჩმა აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარება ტიმოშენკოს შეწყალებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ეფრემოვი ამას არ დაეთანხმა:

– დასავლეთი ტიმოშენკოს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას არ მოითხოვს. ზოგიერთ თავგაცხელებულს კი ვურჩევდი, განაჩენი ყურადღებით წაიკითხოს. მასში ნათქვამია, რომ უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ტიმოშენკოს ბრალდებები მის მიმართ წამების გამოყენების შესახებ. ასევე მსურს განვაცხადო, რომ სამი თვის განმავლობაში უფლება გვაქვს, განაჩენი გავასაჩივროთ. არ გამოვრიცხავ, რომ ამას გავაკეთებთ.

მეორე დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ საფრანგეთი ტიმოშენკოს დაუყოვნებელ გათავისუფლებას მხარს უჭერს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც კიევს მსგავსი მოწოდებით მიმართა. უკრაინის პრეზიდენტი კვლავ დუმდა. სამაგიეროდ, ლავრინოვიჩმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

– არა მგონია, ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გავასაჩივროთ.

განსხვავებულ პოზიციაზეა გენერალური პროკურორი ფშონკა. თავის ტელეინტერვიუში მან განაცხადა:

– ევროპა ტიმოშენკოს გათავისუფლებას არ მოითხოვს. რაც შეეხება ევროსასამართლოს დადგენილებას, არ გამოვრიცხავ, რომ მას გავასაჩივრებთ!

იანუკოვიჩი კვლავ დუმილს ამჯობინებს. უკრაინის ხელისუფლების შიგნით კი „ტიმოშენკოს საკითხში“ ერთგვაროვანი მოსაზრება არ არსებობს. სამაგიეროდ, მოსახლეობა თითქმის ერთსულოვანია. თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკვლევებისა, ტიმოშენკოს თავისუფლებას უკვე უკრაინელთა 78 პროცენტი ემხრობა. დასავლეთიდანაც სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოწოდებები ტიმოშენკოს დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ. საფრანგეთის შემდეგ მსგავსი განცხადება გააკეთა კანადამაც. ტიმოშენკოს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას „თავისუფალ უკრაინელთა მსოფლიო კონგრესიც“ მოითხოვს.

– რასაკვირველია, ტიმოშენკოს დაუყოვნებლივი შეწყალება დღეს ყველაზე გონივრული ნაბიჯია, – თვლის ექსპერტი ჩალი, – მაგრამ მე არ მჯერა, რომ იანუკოვიჩი ამაზე წავა.

ჩალის ამ მოსაზრებას ოპოზიციის ლიდერებიც იზიარებენ. 6 მაისს ისინი კიევში გრანდიოზული აქციის მოწყობას გეგმავენ.

– ყველაფერი იქით მიდის, რომ მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდება, – აცხადებს „სვობოდას“ ლიდერი ოლეგ ტიაგნიბოკი, – თუკი ევროინტეგრაცია ჩაიშალა, ეს ცალსახად იანუკოვიჩის ბრალი იქნება. ხალხიც არ აპატიებს და ისევე დაამხობს, როგორც თავის დროზე ჰეტმანი სკოროპადსკი დაამხო!

ექსპერტთა უმრავლესობა რევოლუციურ სცენარს დღესდღეობით ნაკლებ რეალურად მიიჩნევს. ოპოზიციას გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს. მოსახლეობაც ჯერჯერობით რადიკალური მოქმედებებისათვის მზად არ არის.

– რასაკვირველია, აქციამ „აღსდექ, უკრაინა“ ხალხზე გარკვეული ზემოქმედება იქონია. უკრაინელები მზად არიან, ქუჩაში გამოვიდნენ და პროტესტი გამოხატონ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველივე რევოლუციაში გადაიზრდება. თუმცა, უდავოა ისიც, რომ ხელისუფლება თავისი უგუნური ქმედებებით რადიკალების წისქვილზე ასხამს წყალს. თუკი ასე გაგრძელდა, მართლაც რევოლუციურ სიტუაციას მივიღებთ, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მხოლოდ 2015 წლისთვის მოხდება, ისიც მაშინ, თუკი უკრაინაში არაფერი შეიცვალა, – აცხადებს ჩალი.

დღესდღეობით ტიმოშენკოს გარშემო აჟიოტაჟი ძლიერდება. როგორ დასრულდება ყოველივე? როგორ აისახება ეს უკრაინა-ევროკავშირის ურთიერთობებსა და თავად ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობაზე?

**ნიკა თევზაძე**

# ევროკავშირი ახალგაზრდების დასაქმებას იწყებს



ევროკავშირის ლიდერების სამიტზე, რომელიც ივნისში გაიმართება ახალგაზრდების დასაქმებაზე და უმუშევრობის მაღალი დონის შემცირებაზე იმსჯელებენ. იტალიის ახალი პრემიერ-მინისტრის ენრიკო ლეტას განცხადებით, ევროკავშირის ლიდერები მზად არიან ეკონომიკის ზრდას უფრო მეტი პრიორიტეტი მიანიჭონ.

„რომში ოპტიმისტურად ვბრუნდები, რადგან ივნისის სამიტზე ევროკავშირში ახალგაზრდების დასაქმებასა და უმუშევრობის დონის შემცირებისთვის „კონკრეტული გზავნილები“ გახდება ცნობილი“, – განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის ლიდერების მორიგი შეხვედრა ივნისში გაიმართება. მანამდე კი ახალგაზრდების დასაქმებაზე იტალიის ახლად არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ენრიკო ლეტამ, ბერლინში, პარიზსა და ბრიუსელში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრა.

ევროკავშირის წევრია ევროპის 27 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა – 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ის და იაპონიას.

# გაეროს მონაცემებით, სომალიში 260.000 ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა

გაეროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში აღნიშნულია, რომ სომალიში 2010-2012 წლებში 260 ათასი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. გაეროს ანგარიშით ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილთა შორის ნახევარზე მეტი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვია.

გაეროს მიერ მომზადებულ ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სომალიში ამ ფაქტის თავიდან აცილება საერთაშორისო თანამეგობრობის დროული და შესაბამისი რეაგირების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა. გაეროს ანგარიშის გავრცელებამდე, საკუთარი მონაცემები დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა, სადაც შიმშილის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია და ის 50-100 ათასამდეა დაყვანილი. ცნობისთვის, 1991 წლიდან 2000 წლამდე სომალიში არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა. 1991 წლიდან ამ სახელმწიფოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, სომალიში ხშირად ხდება მთავრობების ცვლა. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში შექმნილია ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჩრდილოეთით არსებული სომალილენდი.

# სამგლოვიარო განცხადებები

მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო – „ჰელსინკის კავშირი-წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ლარისა გიორგის ასული დათაშვილი**

დაკრძალვა: შაბათს, 4 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: კობა ჩოხელის ქ.16 (წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 4. ავსტრალიური სირაქლემა; 5. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. თბილი დინება ატლანტიკის ოკეანეში; 12. იტალიური რესტორანი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. ტკივილის შეგრძნების უნარის დაკარგვა; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული, მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელი; 14. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური, დეკორატიული ხე; 18. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 19. მტრედის ბარტყი; 21. გურულების მოკლე ჩოხა; 22. ტროპიკული პალმის ნაყოფი, ინდისხურმა; 23. ხორვატი სამთო-მოთხილამურე ქალი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი; 24. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. ფუტზალი; 2. მადაფათა; 3. „სოკარი“; 4. „პორტო“; 5. ნიკოტინი; 8. კარაკასი; 12. „ნანა“; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. ბესელია; 18. გრენა; 20. ჭაჭა.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. „კახასა“; 9. პალმა; 10. ფაგოციტი; 11. პლანტაჟი; 15. „ბრიჯსტოუნი“; 17. ხარაძე; 19. ბურჭულაძე; 21. გარეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 1. მოწამეთა; 2. პოდიუმი; 3. ნიყვი; 4. ბიბლისი; 5. „ბარამბო“; 10. ვიბრაცია; 11. ვაშინგტონი; 12. ბეირუთი; 15. ბივშტექსი; 16. დნეპრი; 17. ფორმულა; 20. „ტოკაი“.

თარაზულად: 6. ქორეოგრაფია; 7. ხილნარი; 8. როიტერი; 9. მერიმე; 13. თორი; 14. საბვეი; 18. კროსვორდი; 19. კოლიე; 21. ლორია; 22. ნილოსი; 23. რამიშვილი; 24. რაისშინა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6508 |
| ევრო | 2,1602 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5635 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2816 |

## ამინდის პროგნოზი 4 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

### მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

### ტომი 2

### ჩეხური ზღაპრები




### უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

### გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები



# 7 მაისიდან

# საქართველოს ისტორია

# „ახალ თაობასთან“ ერთად


# გორის „დილა“ შველას ითხოვს



მედიის თუ სატელევიზიო საშუალებებით, გორის „დილას“ შესაძლო დაშლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ჩვენი გულშემატკივრისთვის ცნობილია. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, კლუბში ფინანსური მდგომარეობა მართლაც მძიმეა. ჩვენთვის და ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის ის, რომ კიდევ ერთი ამბიციური კლუბი გამოაკლდება ეროვნულ ჩემპიონატს, ძალიან დასანანია.

რა თქმა უნდა, აქ იმაზე არაა საუბარი, თითქოს კლუბი წყვეტს არსებობას, უბრალოდ „დილას“ ბოლოდროინდელი წარმატებები და ჩემპიონატში კონკურენტუნარიანი გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშაა, რაც ქართული ფეხბურთისთვის კიდევ ერთი მიყენებული დარტყმაა. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა, საშუალო დონის გუნდის ყოლაც სათუო გახდება.

„დილას“ მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გაუხარებია საკუთარი ქომაგი თავისი წარმატებული გამოსვლით. ბოლო 1 წლის განმავლობაში კლუბში მომხდარი საკადრო ცვლილებების შემდეგ, არაერთმა ბოლოათწლეულის სახელოვანმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი, რაც უმალ დაეტყო კლუბის წარმატებულ გამოსვლას და ასევე ეროვნულ ჩემპიონატს. იმატა გორში გულშემატკივართა ინტერესმა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრად გამართულ მატჩებში „დილას“ მონაწილეობით, ადგილობრივი ქომაგის ინტერესი ორმაგად იყო გაზრდილი. სწორედ ასეთი კლუბის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას დღეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ყველაფერს შესაბამისი რეაგირება მოჰყვება და არ იქნება დაშვებული კლუბის დაშლა.

ერთად გადავარჩინოთ გორის „დილა“, რაც არა მარტო გორელი გულშემატკივრის, არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთის ინტერესში შედის.

ამ კლუბის შესაძლო დაშლასთან დაკავშირებით კომენტარი ჩამოვართვით რამდენიმე ფეხბურთელსა და გულშემატკივარს:

დავით კვირკველია (გუნდის კაპიტანი):

– ორი თვეა ხელფასი არ აგვიღია და სრული გაურკვევლობაა. საცოდაობაა ამ გუნდის დაშლა. საქართველოში ფოთის „კოლხეთსა“ და თბილისის „დინამოში“ გამოვდიოდი, შემდეგ კარიერა უცხოეთში გავაგრძელე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი გორის „დილაში“ ჩავირიცხე, სადაც საუცხოო პირობები დამხვდა. დღეს სიტუაცია კი რადიკალურად შეცვლილია. უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის ყველა ხელმძღვანელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გუნდში სიტუაცია გამოსწორდეს და იმედი გვაქვს, რომ მათი ძალისხმევით ყველაფერი მალე დალაგდება.

ირაკლი მოდებაძე:

– ეს კლუბი იმსახურებს იმაზე მეტს, რაც ამჟამად არის ამ გუნდში. დღემდე ველოდებით სიტუაციის გამოსწორებას, რადგან ეს აუცილებელია გუნდის წინსვლისთვის და გორში ფეხბურთის არსებობისთვის. თითოეულ ჩვენთაგანს გვაქვს იმედი, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს და განსაკუთრებით ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც ამ გაჭირვების მიუხედავად ბოლომდე აკეთებენ თავის საქმეს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

### 4 მაისი – ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** – სახლში სიმშვიდეა, კარგი ამბებია მოსალოდნელი. **კურო** – ფული გააქვთ, წამოჭრილ პრობლემას ადვილად გადალახავთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ლომი** – საქმეს ბოლომდე მიიყვანთ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** – ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – არ აყვეთ ჭორებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში, არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** – მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, თქვენ სხვები გბაძავენ. **მერწყული** – თქვენთვის მთლიანობაში იღბლიანი დღეა, სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **თევზები** – დაისვენეთ, დამშვიდდით.

### 5 მაისი – მშვენიერი დღეა

**ვერძი** – აგიმაღლდებათ განწყობა, სიხარულის განცდა არ გტოვებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ყველაფერი ისეა, როგორც გეგმავდით. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – ფული გაქვთ, პრობლემა მოგვარდება. **სასწორი** – ყველაფერი კარგად არის და კარგ ხასიათზეც ხართ. **ღრიანკალი** – ცხოვრება გეცვლებათ, თავს მშვიდად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა მალე შედგება. სს**თევზები** – ჰარმონიული დღე თქვენზე დადებითად იმოქმედებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# გიორგი ჩიხრაძე: ამ ინციდენტმა ჩემზე ძალიან იმოქმედა

ზაქათალას „სიმურგის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ აზერბაიჯანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში 28-ე ტურში მომხდარ ინციდენტზე ისაუბრა. ინციდენტი გულშემატკივარსა და ქართველ მწვრთნელს შორის მოხდა.

**გიორგი ჩიხრაძე**

– ეს მატჩი მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად, რთულიც. ძალიან სამწუხაროა, ასეთი ინციდენტი რომ მოხდა. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი სტადიონის სკამები და სათადარიგოთა სკამი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. გარკვევით მესმოდა 90 წუთის განმავლობაში ჩვენ მიმართ ნათქვამი ყველა ცუდი სიტყვა. მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. მატჩის შემდეგ მე და ჩემი თანაშემწეები ვიდექით და განვიხილავდით არსებულ ვითარებას, როდესაც ჩემ მისამართით გინება და უცენზურო სიტყვები მოვისმინე. ტრიბუნასთან მივედი, რათა საქმის არსში გავრკვეულიყავი, რატომ მაყენებდა ის ადამიანი შეურაცხყოფას. ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. მატჩის დელეგატმაც კი მომიხადა ბოდიში და მითხრა, რომ აღარ სურდა მსგავსი ფაქტი განმეორებულიყო. თუმცა, ოქმში სხვა რაღაც ჩაწერა და მე 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დამსაჯეს.

*– მაგრამ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ გულშემატკივარს დაარტყით?*

– მე არასდროს მიცემია ვინმე, უბრალოდ, იგივენაირად ვუპასუხე. თქვენი თავი წარმოიდგინეთ ჩემს ადგილას. რა უნდა გამეკეთებინა იმ მომენტში? მიმეცა უფლება, ჩემი ახლობლებისთვის ეგინებინა? გარდა ამისა, ნასვამი იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა „სიმურგის“ გულშემატკივართან.

*– კლუბი შეიტანს თუ არა აპელაციას?*

– მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლოა. ასეთი განაჩენის გამოსატანად სერიოზული არგუმენტებია საჭირო. ის ჩემს ოჯახს შეეხო და მინდოდა გამერკვია, ვინ იყო ასეთი. მან მოახერხა ჩემი პროვოცირება. პატივს ვცემ გულშემატკივარს და იმ ქვეყანას, სადაც ვმუშაობ. აქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ამ ინციდენტმა ჩემზე ძალიან იმოქმედა.

*– ყოველივე ეს გუნდზე რა გავლენას მოახდენს?*

– შევეცდებით, ამ რთული სიტუაციიდან გამოვიდეთ. გუნდთან თამაშამდე ვიქ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. თანამედროვე ესპანელი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერულ, ლიტერატურულ ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. ხეობა საქართველოში; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 6. უბანი თბილისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრი წყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. დამწყები, სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ხელჩანთა; 23. ჩინელი ფილოსოფოსი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

# სილვიო ბერლუსკონისთვის გაგზავნილ წერილში ტყვია და დენთი აღმოჩნდა



იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონისთვის გაგზავნილ წერილში ტყვია და დენთი აღმოჩნდა. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება.

ბერლუსკონის სახელზე არსებული წერილი მილანის ფოსტის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. შეიცავდა თუ არა წერილი რაიმე შინაარსის გზავნილს ან ვინ იყო მისი ავტორი, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

ჯერ-ჯერობით უცნობია გამომგზავნის ვინაობა და ადგილი საიდანაც კონვერტი იქნა გამოგზავნილი.

მომხდართან დაკავშირებით ადგილზე პოლიცია და ქიმიური დაცვის სპეციალისტები გამოცხადდნენ. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ეს უსაფრთხოების მიზნით ჩატარებული პროცედურაა. ამ ინციდენტამდე ოთხი დღით ადრე, ერთ-ერთმა უმუშევარმა იტალიელმა უმისამართო სროლა მოაწყო რომში, პრემიერ-მინისტრის ოფისის გარეთ. შემთხვევის შედეგად ორი პოლიციელი დაიჭრა. სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი იყო 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში.

2012 წლის 26 ოქტომბერს სილვიო ბერლუსკონი საგადასახადო თაღლითობის გამო გაასამართლეს.